სპორტი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 22 ივნისი 2006 №141 (2763) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეიდან გერმანიაში მკვლელობათა სერია დაიწყება

რამდენი ტელევიზორი გაქვთ სახლში?

AFP ბელგიურ ფოტოსურათებიდან

წუხელ მუნდიალზე ოთხი თამაში იყო და აქედან ორში ჯგუფებიდან უკვე გასულები პირველ-მეორე ადგილებს ეცილებოდნენ ერთმანეთს, ორში კი უკვე გავარდნილები თავმოყვარეობის დაკმაყოფილებას ლამობდნენ. საბოლოოდ ასე დალაგდა: C ჯგუფში არგენტინამ და ჰოლანდიამ 0:0 ითამაშეს, ხოლო კოტ დივუარმა სერბეთსა და ჩერნიგორიას ისტორიაში ბოლო ერთობლივი თამაში 0:2-დან შემოუტრიალა — 3:2 მოუგო. შესაბამისად, პირველზე გავიდა არგენტინა, მეორეზე — ჰოლანდია. D ჯგუფში კი პორტუგალიამ მექსიკას 2:1 აჯობა, ხოლო ირანმა და ანგოლამ 1:1 შეძლეს. აქ პირველი პორტუგალიაა, მეორე მექსიკა და, შესაბამისად, ამ ოთხეულის გზებიც გადაიკვეთა: მერვედფინალში არგენტინა მექსიკას ხვდება, პორტუგალია — ჰოლანდიას.

საინტერესო ფაქტი: პორტუგალიელთა მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი, რომელიც წინა მუნდიალზე ბრაზილიას წვრთნიდა და ჩემპიონი გახდა, აგერ უკვე მსოფლიოს ჩემპიონატის 10 შეხვედრაა, მხოლოდ მოგებებით მიდის!

აღსანიშნავ ამბავთაგანი გახლდათ ჰოლანდიის ნაკრების სახელოვანი მეკარის ედვინ ვან დერ სარის 112-ე მატჩი ნარინჯისფერთა ფორმით — ეს ფრანკ დე ბურის რეკორდის გამეორებაა, რაც, უნდა ვივარაუდოთ, პორტუგალიელებთან შეხვედრაში რეკორდით გაგრძელდება.

ხოლო დღეს, საღამოს ექვს საათზე ყველანი ტელევიზორებთან უნდა შევიკრიბოთ, რადგან E ჯგუფი არკვევს ურთიერთობას. ეს სწორედ ის ჯგუფია, იტალიასაც, ჩეხეთსაც, განასაც და აშშ-საც შემდეგ ეტაპზე გაცვლის შანსი ბოლო წამამდე რომ შემორჩენიათ. ასე რომ, უყურეთ იტალია—ჩეხეთს და განა — აშშ-ს, მადლობა ღმერთს, თანამედროვე ტელევიზორებს პულტები მოჰყვება.

საღამოს 11-ზე ბრაზილიის ანუ F ჯგუფიც დალაგდება და E ჯგუფის მეტოქეებს გაარკვევს.

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

ერთიანული ბიბლიოთეკა

C ჯგუფი. III ტური

ხილვები და მიმოხილვები

ჰოლანდია 0:0 არგენტინა

№37. 21 ივნისი. 23.00. ფრანკფურტი. „ვალდშტადიონი". 48 000 მაყურებელი

შეცვლა: ბურდისო – 4. ჯოლოჩინი (24), ვან ნისტელროი – 21. ბაბელი (56), ვან პერსი – 6. ლანძაატი (67), მესი – 20. ჯრუზი (70), რიკელმე – 16. აიმარი (80), სნეიდერი – 16. მადურო (86)

გაფრთხილება: ჯუიტი (28),ოიერი (42), დე ჯლერი (48), ჯამბიასო (57), მასკერანო (90)

მსაჯები: ლუის მედინა ჯანტალეხო; ვიქტორიანო გირალდეს ჯარასკო, ჰედრო ერნანდეს მედინა (ესპანეთი)

23	---------- ჯარიმა ----------	17
7	---------- კუთხური ----------	10
9	---------- ჯარისკენ დარტყმა ----------	10
3	---------- ჯარში დარტყმა ----------	3
1	---------- თამაშგარე ----------	4

იდეალისტებს მოცდა მოუწევთ

ასე და ამგვარად, ფრანკფურტის 22-გრადუსიანი ოთხშაბათი საღამო C ჯგუფში არგენტინის პირველობითა და ჰოლანდიის მეორეობით დასრულდა. თამაში, რომელიც საკმაოდ მაღალი კლასის, თუმცა, იმავდროულად, მოზომილი ჟინისა გახლდათ, ნაკლებ სასეირო გამოდგა, ვიდრე შესაძლოა, იდეალისტები ელოდნენ, მაგრამ ამაში გასაკვირი არაფერი გახლდათ. ბოლოს და ბოლოს, ვის შეხვდები მერვედფინალში, მექსიკას თუ პორტუგალიას, არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, თავპირის მტვრევად და წითელ-ყვითლებად რომ ღირდეს. გნებავთ, პორტუგალიელებთან და გნებავთ, მექსიკელებთან, როგორც არგენტინელებს, ასევე ჰოლანდიელებს დიდი ომი ექნებოდათ გადასატანი. ახლა კი ყველაფერი დალაგდა: არგენტინა მერვედფინალში მექსიკას შეხვდება, ხოლო ჰოლანდია პორტუგალიას.

AFP ფრანკფურტიდან

რუუდ ვან ნისტელროი და გაბრიელ მილიტო

თამაშის მნიშვნელობიდან და ჩემპიონატის დებულებიდან გამომდინარე, მეტოქეებმა შემადგენლობები იმთავითვე გადაახალისეს. მაგალითად, სამხრეთამერიკელებმა დაასვენეს ხუან სორინი, გაბრიელ ჰაინცე, ხავიერ სავიოლა და ერნან კრესპო, ჰოლანდიელებმა კი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი, არიენ რობენი, ჯონ ჰეიტინგა, მარკ ვან ბომელი... ერთი სიტყვით, ამ ხალხიდან დიდ უმრავლესობას წინა ორ შეხვედრაში თითო ყვითელი ჰქონდა მიღებული და ახლა განულდნენ.

საინტერესოა თამაშის სტატისტიკაც: კარში მეტოქეებმა სამ-სამჯერ დაარტყეს, კარის მიმართულებით კი ჰოლანდიელებმა 9-ჯერ და არგენტინელებმა 10-ჯერ. ჯარიმების ანგარიში გახლდათ ჰოლანდიელთა 23 არგენტინელთა 17-ის წინააღმდეგ, კუთხურები — 7:10. მოკლედ, სტატისტიკიდანაც ჩანს, რომ მოედანზე დაახლოებით თანაბრობა იყო.

სხვადასხვა სააგენტოების მიერ მატჩის შემდგომ, ცხელ გულზე გავრცელებულ მიმოხილვებში ისიც იყო ნათქვამი, რომ მატჩი უფრო ტაქტიკური დაპირისპირებისგან შედგებოდა, სადაც სახიფათო მომენტები უმალ ეპიზოდური იყო, ვიდრე თანმიმდევრული.

მომენტთაგან, მაგალითად, პირველ ტაიმში დასამახსოვრებელი გახლდათ ნიკოლა ბურდისოს შეცდომის შედეგად დირკ კუიტის შევარდნა ახლო ძელთან და დარტყმა, რომელიც მეკარე რობერტო აბონდანსიერიმ მოიგერია. რამდენიმე წუთის შემდეგ არგენტინული პასებით მოქსოვილი კომბინაცია კარლოს ტევესის ოდნავ უზუსტო დარტყმით დასრულდა. შემდეგ, ჰოლანდიელთა მეკარემ ედვინ ვან დერ სარმა, რომლისთვისაც ეს 112-ე სანაკრებო მატჩი გახლდათ, ხუან რომან რიკელმეს ჩახუჭუჭებული კუთხური უკუაგდო. ერთ ეპიზოდში ჰოლანდიელმა მცველმა ხალიდ ბულარუზმა იმავ ტევესთან ბრძოლაში საკუთარ ძელს მოარტყა ბურთი...

„თამაშით უკმაყოფილო ვარ — თქვა მატჩის შემდეგ ზემონახსენებმა ვან დერ სარმა — ჩვენ ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა გვინდოდა, მაგრამ არგენტინამ ამის საშუალება არ მოგვცა. მეორე ტაიმში უფრო მეტად შევძელით თამაშის გამწვავება, რაც იმაში გამოიხატა, რომ რამდენიმე ნახევარმომენტი შევქმენით, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ.

რაც შეეხება კმაყოფილებას, პირადად მე იმით ვარ კმაყოფილი, რომ გოლი არ გავუშვი. და, რასაკვირველია, იმით, რომ ჩემი 112-ე მატჩი ჩავატარე ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში, რაც ფრანკ დე ბურის რეკორდის გამეორებაა.

იმ შემადგენლობამ, რომელიც მოედანზე ვიყავით, ყველა ღონე ვიხმარეთ, და რაც გამოგვივიდა ეს იყო, ყვითელბარათიანებს კი ვერ ვათამაშებდით, დიდი რისკი იქნებოდა. ამ ტურნირზე მსაჯები როდის რას აკეთებენ, ვერ მიხვდები კაცი. მათგან ყველაფერს უნდა ელოდო".

არგენტინელთა მცველი რობერტო აიალა კი კარგ გუნებაზე გახლდათ:

„ჩვენი მიზანი მიღწეულია, გუნდი მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებს თამაშს. მერვედფინალის მეტოქეს კი რა მნიშვნელობა ჰქონდა, გინდა მექსიკა ყოფილიყო და გინდა პორტუგალია. ორივე პატივსაცემი, ძლიერი გუნდია".

პაპუნა კედია

AFP ფრანკფურტიდან

ედვინ ვან დერ სარმა 112-ე სანაკრებო მატჩში კარი მშრალად შეინახა

საბოლოო ცხრილი

არგენტინა	3	2	1	0	8:1	7
ჰოლანდია	3	2	1	0	3:1	7
კოტ დივუარი	3	1	0	2	5:6	3
სერბეთი	3	0	0	3	2:10	0

გერმანიას ბოლო წუთებით ემუქრებიან

ლარს ლაგერბეკი და ჰენრიკ ლარსონი

მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალური მატჩებიდან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გერმანია-შვედეთი იქნება. გერმანია მასპინძელია და, ბუნებრივია, იქაური მედია ამ მატჩს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. სკანდინავიური ჟურნალ-გაზეთები და, შვედი ფეხბურთელები კი თითქოს ზედმეტად ოპტიმისტურად გამოიყურებიან, რამაც შესაძლოა, „ნაციონალმანშაფტი" გაალიზიანოს და კიდევ უფრო საბრძოლოდ განაწყოს.

შვედებს ჯგუფური ეტაპი ლიღინლიღინით არ დაუძლევიათ, მაგრამ მებრძოლი ხასიათი კიდევ ერთხელ გამოავლინეს, როცა ჯერ პარაგვაის გაუტანეს 89-ე წუთზე, მერე კი ინგლისს გაუთანაბრეს 90-ზე.

„ჩვენ კიდევ ერთხელ ვაჩვენეთ ყველას, რომ ბოლომდე ვიბრძვით. რაც შეეხება გერმანელებს, მათ კარგი გუნდი ჰყავთ, დაბალანსებული და სოლიდური დაცვით, თავდასხმის ხაზიც საუცხოოა. იმედია, ზლატან იბრაჰიმოვიჩი დროულად მომჯობინდება და ამ მნიშვნელოვან მატჩში დაგვეხმარება" — აღნიშნა შვედთა თავკაცმა ლარს ლაგერბაკმა.

„ნაკრების ხასიათი და მებრძოლი სული ყოველთვის მაოცებდა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ამის წყალობით შორს წასვლა შეგვიძლია" — თქვა სკანდინავიელთა ნახევარმცველმა ტობიას ლინდეროტმა.

შვედეთის გდრ-სთან და გფრ-სთან ნათამაშებ მატჩებს თუ დავითვლით ბალანსი ასეთია: გერმანია 3-ჯერ დაუმარცხებიათ, 12-ჯერ წაუგიათ და 7-ჯერ ფრედ უთამაშიათ. შვედებმა ბოლოს 1978 წელს მოიგეს.

სკანდინავიელთა შემტევი ნახევარმცველი მატიას იონსონი: „ბრწყინვალე მატჩი გამოვა. ხოლო საფინალო სასტვენის შემდეგ გამარჯვებას თუ ვიზეიმებთ, საერთოდ ფანტასტიკური იქნება".

კოკი კანდელაკი

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად დროის
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

აკრეფვის წესი: წამობრივი
მობილურ ტელეფონზე დასარეკად აღრიცხვა
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

ნუ გამოტოვებთ გადამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა და ლაი-ლაის აბონენტებისთვის.

GEO ჯეო გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006
და გამოიწერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე
და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ცხრილი.
მატჩების ანგარიშები.
ფეხბურთელების ფერადი სურათები.
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები.
ქვეყნის ჰიმნები.

ყველა, ვინც კი კარგ გოლს ელის ერთგულია ჯეოსელის

FIFA WORLD CUP GERMANY 2006

© 2002 FIFA TM

www.geocell.ge

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

C ჯგუფი. III ტური

სერბეთ-ჩერნიგორია რამ გაჰყო? კოტ დივუარმა

AFP მიუნხენიდან

აფრიკული „ხორუმი“

სერბეთ-ჩერნიგორიის ნაკრების ისტორია მარცხით დასრულდა — ისინი ამიერიდან ცალ-ცალკე ითამაშებენ. შეგახსენებთ, რომ რეფერენდუმის შედეგად, ჩერნიგორია დამოუკიდებელი გახდა და სერბეთს გამოეყო.

ეს ბოლო სანაკრებო თამაში იყო სავო მილოშევიჩისთვის და მლადენ კრსტაიჩისთვის. მათ ამის შესახებ მატჩამდე განაცხადეს. კრსტაიჩი შეხვედრის დასაწყისშივე დაშავდა და შეცვალეს, მილოშევიჩი კი მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდა და ვერაფრით დაეხმარა „დაშლის პირას მისულს“ ნაკრებს.

მატჩი ისტორიული იყო კოტ დივუარისთვისაც, რაკი ჩემპიონატის დებიუტანტმა პირველი გამარჯვება მოიპოვა და ეს ამბავი ნამატჩავს აფრიკულად, ცეკვა-ცეკვით აღნიშნა.

საცეკვაოდ კი საქმე პირველ ტაიმში სლავებს ჰქონდათ, რადგან ორჯერ შეირგეს მეტოქე მცველების შეცდომა. ჯერ ჟიგიჩმა გაასრიალა მეკარე ნაწვიმარზე და ანგარიში გახსნა, მერე კი სირილ დომორომ მიართვა ბურთი საშა ილიჩს და 0:2.

ევროპელები იგებდნენ, მაგრამ ეტყობოდათ, რომ უგულოდ ირჯებოდნენ. თითქოს დიდად არ აღელვებდათ, მოიგებდნენ თუ წააგებდნენ.

ამ უდარდელობას შეიძლება, მივაწეროთ მილან დუდიჩის საქციელი, რომელმაც, კალათბურთელივით ჩამოხსნა ბურთი საკუთარ საჯარიმოში, რასაც პენალტი მოჰყვა. არუნა დინდანემ თერთმეტი მეტრიდან დაარტყა და გაიტანა, მაგრამ მსაჯმა გაამეორებინა — სულსწრაფი ფეხბურთელები დარტყმამდე შეცვივდნენ საჯარიმოში. დინდანემ ხელმეორედ შეასრულა და ზუსტად იმავ კუთხეში გაიტანა.

ტაიმის მიწურულს დუდიჩი გააძევეს და შესვენების შემდეგ „სპილოებმა“ კაცნაკლული მეტოქის ნახევარი გადათელეს. აქვე ვთქვათ, რომ მეორე ტაიმის დაწყებამდე, მოედანზე შესვლის წინ, ემანუელ ებუმ ილოცა და ეტყობა, ამან გაჭრა. გონება დაუბინდდა სერბეთ-ჩერნიგორიის ნაკრებს და არუნა დინდანემ თავურით კუთხეში ჩაუსვა ბურთი ჟევრჩს — 2:2.

სლავები დალასლასებდნენ, „სპილოები“ კი აწვებოდნენ დაქანცულ, უჯიგროდ მოთამაშე მეტოქეს და კიდევ ერთი პენალტი მოიმკეს. ზოგადად, პენალტის დროს ხომ დამრტყმელის და მეკარის სახეებია ყველაზე საინტერესო, მაგრამ სანამ კალუ თერთმეტმეტრიან საჯარიმოს შეასრულებდა, უფრო თვალსაჩინო რამ კოტ დივუარის კართან ხდებოდა. „სპილოთა“ მეკარე ბუბაქარ ბარი მუხლზე დაჩოქილი, ებუდბუტებოდა კარის ძელს და მაშინღა იღრიალა, კალუმ რომ გამარჯვებისა გაიტანა.

მატჩის დასრულების შემდეგ კი იყო აფრიკული ტაშ-ფანდურა. „სპილომ“ მაინც დატოვა თავისი ნაკვალევი გერმანიაში...

ჰო, ეს იყო პირველი მატჩი მუნდიალზე, რომელშიც ორივე პენალტი გამოიყენეს.

კოტ დივუარი 3:2 სერბეთი

№38. 21 ივნისი. 23.00. მიუნხენი. „ალიანს არენა“. 66 000 მაყურებელი

0:1 ჟიგიჩი (10), 0:2 ილიჩი (20), 1:2, 2:2 დინდანე (37პ, 67), 3:2 კალუ (86პ)



შეცვლა: კრსტაიჩი – 17. ნადი (16), აკალუ – 14. ბ. კონე (60), ჟიგიჩი – 9. მილოშევიჩი (67), კეიტა – 8. კალუ (73)

გაფრთხილება: ნადი (17), კეიტა (33), დუდიჩი (35), დულიაი (37), დომორო (41), დინდანე (43), ნადი (46), გავრანჩიჩი (57), დომორო (90)

გაძევება: ნადი (46), დომორო (90)

მსაჯები: მარკო როდრიგესი;
ხოსე ლუის კამარგო (მექსიკა), ლეონელ ლეალი (კოსტა რიკა)

13	კარიმა	22
9	კუთხური	1
20	კარისკენ დარტყმა	6
10	კარში დარტყმა	3
7	თამაშგარე	1

D ჯგუფი. III ტური

ირანი 1:1 ანგოლა

№40. 21 ივნისი. 18.00. ლაიფციგი. „ცენტრალშტადიონი“. 38 000 მაყურებელი

0:1 ფლავიო (60), 1:1 ბახტიარიზადეჰი (75)



შეცვლა: ნოსრატი – 23. შოჯაეი (13), მატეუში – 18. ლავი (23), ჰაშემიანი – 11. ხატიბი (39), აკვა – 16. ფლავიო (51), კააბი – 15. ბორჰანი (67), ფიგეირედო – 15. რეი მარკეში (73)

გაფრთხილება: ლოკო (22), მადანჩი (37), მენდონკა (46), თეიმურიანი (55), ზე კალანგა (67), ზანდი (90)

მსაჯები: მარკ შილდი;
ნათან გიბსონი, ბენ უილსონი (ავსტრალია)

19	კარიმა	23
3	კუთხური	6
18	კარისკენ დარტყმა	15
13	კარში დარტყმა	7
2	თამაშგარე	5

აგე, ანგოლის გოლი

მატჩს სათავისო სატურნირო ინტრიგაც ახლდა და არც დაძაბულობას მოისაკლისებდა, მაგრამ ამ თამაშის კანტი-კუნტმა მნახველებმა გულზე ხელდადებით ვკითხოთ ერთმანეთს, იმსახურებდა ანგოლა მერვედფინალს? ამ ღარიბი ქვეყნის შვილების მიმართ ობიექტური სიმპათიის მიუხედავად, კარგი ფეხბურთის მოყვარულებს გული ნამდვილად არ დაგვწყდებოდა, ეს გუნდი მექსიკის ნაცვლად რომ გაემგზავრა შინ.

უკლასო გუნდების უღიმღამო და ჯაჯგურ-ჯარიმებით გაჯერებულ თამაშში უკვე ასაბარგებელმა ირანმა გაცილებით უკეთ ითამაშა და მიუხედავად იმისა, რომ პირველი გოლი მაინც ანგოლელებმა გაიტანეს, მანამდე ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ აფრიკელები გოლგაუტანლად მოილევდნენ მსოფლიოს ჩემპიონატს.

ანგოლელთა თავკაცმა ლუიშ გონსალვეშმა ტრადიციას არ უღალატა, გოლის გატანის კი არა, არგაშვების ჩანაფიქრით გააწყო შეგირდები ლაიპციგურ მინდორზე და კონტრშეტევების იმედად კინკილა თავდამსხმელ აკვას მიანდო მერვედფინალის ბედი. აკვას კი ბურთი არც ისე ხშირად მისდიოდა, გოლად რომ ექცია, რაკი იგი ირანელთა ფეხებში უფრო იბლანდებოდა.

უფერულობასთან ერთად უხეშობითაც დამძიმებულ მატჩში ხშირი იყო ჯარიმები და ორივე გუნდს უკვე პირველ ტაიმში სამი ცვლილების გაკეთება დასჭირდა. გონსალვეშს 51-ე წუთზე ის აკვაც დაემტვრა, თუმც მის ნაცვლად შესულმა ფლავიომ ათიოდ წუთში ანგოლას პირველი გოლი და დიდი იმედი აჩუქა.

ანგოლის ყოფილი მეტროპოლია, პორტუგალია მექსიკას უგებდა და შემწვრის სუნნაყნოსმა აფრიკელებმა მეორე გოლზე და ირანელთა ფეხებზე ნადირობა გაორმაგებული მონდომებით განაგრძეს, მაგრამ ირანმა ალაგ-ალაგ შტურმს გაუძლო და იქით გაუტანა როგორც იქნა დაცვიდან ამოსულ აფრიკელებს. კუთხურიდან ჩაწოდებულს თავი საგოლედ დაჰკრა სპარსთა მცველმა სოჰრაბ ბახტიარიზადეჰმა.

დარჩენილ თხუთმეტიოდ წუთში აზიელები უფრო უტევდნენ, მაგრამ ველარ გაიტანეს და მათ ხორვატ თავკაც ბრანკო ივანკოვიჩს მუნდიალზე მოუგებლად და ჯგუფში ბოლო ადგილით დაამთავრებინეს ირანში მუშაობა — მან ნაკრები დატოვა.

ირაკლი ფირაზვილი

AFP ლაიპციგიდან

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

D ჯგუფი. III ტური

დიდი ფილის დიდი მოუსვენრობა

სკოლარი პორტუგალიას თითებითაც ელაპარაკება

სიმაოს პენალტი სანჩესის კარში — 2:0

პორტუგალია 2:1 მექსიკა

№39. 21 ივნისი. 18.00. გელზენკირხენი. „აუფ შალკე". 52 000 მაყურებელი

1:0 მანიშე (6), 2:0 სიმაო (24პ), 2:1 ფონსეკა (29)

ბრავომ ვერ გაიტანა პენალტი (57, ააცილა)

მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი

1 რიკარდუ

13 მიგელი, 5 ფ. მეირა, 16 რ. კარვალიუ, 3 მ. კანეირა

8 პეტიტი, 18 მანიშე

19 ტიაგუ, 7 ფიგუ, 11 სიმაო

23 პოშტიგა

19 ბრავო, 17 ხ. ფონსეკა

14 პინედა, 22 ფ. როდრიგესი

8 პარდო, 23 ლ. პერესი

3 სალსიდო, 4 მარკესი, 5 ოსორიო, 16 მ. მენდესი

1 ო. სანჩესი

მწვრთნელი რიკარდო ლავოლპე

შეცვლა: როდრიგესი – 7. ზინია (46), მიგელი – 2. პ. ფერეირა (61), პინედა – 15. კასტრო (69), პოშტიგა – 21. ნუნუ გომეში (69), მენდესი – 10. გ. ფრანკო (80), ფიგუ – 15. ბოა მორტე (80)

გაფრთხილება: როდრიგესი (22), მიგელი (21), პერესი (27), პერესი (61), მარკესი (65), მანიშე (69), ზინია (87), ბოა მორტე (88), ნუნუ გომეში (90)

გაძევება: პერესი (61)

მსაჯები: ლუბოშ მიხელი; რომან სლისკო, მარტინ ბალკო (სლოვაკეთი)

29	ჯარიმა	18
4	კუთხური	5
11	კარისკენ დარტყმა	14
5	კარში დარტყმა	6
1	თამაშგარე	2

ნამეტანი უფერული და უმარილო გამოდგა პორტუგალია — მექსიკა. არადა, ინტრიგა ნამდვილად არ აკლდა. გამარჯვების შემთხვევაში მექსიკელები ჯგუფში პირველ ადგილზე გადიოდნენ და არგენტინასთან დაპირისპირებას აირიდებდნენ, თუმცა ამ მექსიკისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, არგენტინას შეხვდება თუ ჰოლანდიას — ამ გადასახედიდან მათი შანსი ნულს არ აღემატება. იყო მეორე ვარიანტიც, თანაც გაცილებით რეალური: პორტუგალიელთა და პარალელურად მიმდინარე შეხვედრაში ანგოლელთა გამარჯვების შემთხვევაში, მექსიკა სულაც ჯგუფში რჩებოდა, თექვსმეტ საუკეთესოში კი სწორედ ანგოლა გადიოდა. მთავარი იყო, პორტუგალიას და ანგოლას წყვილად ოთხი ბურთით დაემარცხებინათ მექსიკა და ირანი. თუმცა შევეშვათ იმას, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო და ის ვთქვათ, რაც ვნახეთ.

როგორც ჩანს, ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ჩინებულად უწყოდა მექსიკელთა ბედოვლათობის ამბავი და ერთბაშად სამ ლიდერს — დეკუს, კრიშტიანუ რონალდუს და პედრო პაულეტას დასვენების საშუალება მისცა. პირინეელებმა უამათოდაც მალე აუწყეს თამაშს პირი და მეექვსე წუთზე პირველ გოლს ულოცავდნენ მანიშეს, რომელმაც მოედნის ცენტრიდან წალებული ბურთი მარცხენა ფრთაზე სიმაო საბროსას გააყოლა და პასუხს პენალტის ნიშნულთან დაელოდა. არც პასუხს დაუგვიანია და მანიშემაც მარჯვედ მოიქნია მარჯვენა — 1:0.

მატჩის პირველი ნახევრის მეორე ნახევარი დაიწყო თუ არა, პორტუგალიამ მეორეც გაიტანა და რიკარდო ლავოლპეს კრებულს ფიქრი სამშობლოსკენ გაექცა... მათმა კაპიტანმა, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა ბარსელონელმა მარკესმა კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს აპერკოტი ამოსცხო, რაც ლუბოშ მიხელს არ გამოჰპარვია, პენალტი კი გოლად სიმაო საბროსამ გარდასახა.

მექსიკა გარდაისახაო, ვერ ვიტყვით. ალბათ, პორტუგალია დამშვიდდა და მოედნის ცენტრში ბურთის უემოციო გორებაზე გადავიდა. ამგვარი თამაში რაგინდარა მეტოქესთან ისჯება: ჯერ იყო და, კუთხურიდან ჩაწოდებული ფონსეკამ თავით შორეულ კუთხეში გადაამისამართა, პორტუგალიელთა მეკარე რიკარდოს ნახტომი კი დაგვიანებული, შესაბამისად, ამაოც გამოდგა. ტაიმის ბოლოსწინა წუთზე ლუბოშ მიხელს პორტუგალიელთა კარში პენალტის დანიშვნაც შეეძლო. არ დანიშნა.

მეორე ტაიმზე სათქმელი ბევრიც არაფერია: ვითომ კომბინაციები, ვითომ ბრძოლის ჟინი, ვითომ სახიფათო მომენტები — მოკლედ, ვითომ ფეხბურთი. ორ-სამ ეპიზოდზე შეიძლება ყურადღების გამახვილება. 57-ე წუთზე არბიტრმა უკვე პორტუგალიელთა კარში დანიშნა პენალტი, როცა მიგელმა საჯარიმოში პერესთან ბრძოლისას ხელით ითამაშა. თერთმეტმეტრიან ნიშნულთან ომარ ბრავო მივიდა. ...მის ადგილას ბევრი ალბათ გვარს გადაიკეთებდა. ომარ ბრავომ, ვისაც მანამდე ორი ნაღდი მომენტის განიავება უკვე მოესწრო, ბურთი ტრიბუნებზე გაგზავნა. აქედან ორი წუთი იყო გასული, როცა იმავ პერესმა იმავ მიგელთან ბრძოლისას მეორე პენალტის გამომუშავება დააპირა და მეტისმეტად თეატრალურად ჩაიკეცა. ამგვარ ფინტზე ლუბოშ მიხელის წამოგება ძნელია. სლოვაკმა არბიტრმა სიმულანტ მექსიკელს მეორე ყვითელი აუფრიალა და მერვედფინალში დასვენება გამოუწერა. ერთი სახალისო ეპიზოდიც იყო. მექსიკელთა მეკარემ იცეტა და საჯარიმოს წინა ხაზთან გამოვარდნილმა ხელით პასის მაგიერ უშნოდ მოარტყა ბურთი საკუთარ ფეხბურთელს. პორტუგალიელმა მანიშემ ბურთი მოიხელთა და თითქმის ცენტრიდან კარში დაარტყა. ოსვალდო სანჩესი თავქუდმოგლეჯილი გავარდა კარისკენ და აცილებული ბურთის მაგიერ თავად გაეხვა ბადეში. ეს იყო და ეს. ერთადერთი დიდი ფილი ვერ ისვენებდა ვერაფრით. ფიგუ გაიყვანა, ნუნუ გომეში შეიყვანა, ტაქტიკური სქემა ათივე თითის მოშველიებით გადააწყო, ღრიალითაც ბევრი იღრიალა... არადა, რა აღრიალებდა?!

გიორგი ნოზაძე

საბოლოო ცხრილი

პორტუგალია	3	3	0	0	5:1	9
მექსიკა	3	1	1	1	4:3	4
ანგოლა	3	0	2	1	1:2	2
ირანი	3	0	1	2	2:6	0



მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

დღეს. E ჯგუფი. III ტური

მომიყევით რამე იტალიაზე

დროულად ითანამშრომლე მწვრთნელთან



მილან ბაროში

იტალიას ქულა უნდა და მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ანუ პლეი ოფის ეტაპზეა, მაგრამ ვაგლახ, ეს იოლი საქმე არ უნდა იყოს. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი დღეს საღამოს ექვსზე ჩეხებს ხვდება, რომელთაც „სკუადრა აძურაზე" სულ ერთი ქულით ნაკლები აქვთ და თავადაც უნდათ მერვედფინალში მოხვედრა. თან, ჩეხებისთვის იტალია უცხო პლანეტა ნამდვილად არ არის — მათი ლიდერი პაველ ნედვედი ერთხელ „ლაციოს" და ორჯერ „იუვენტუსის" შემადგენლობაში სამჯერ გახდა სერია A-ს ჩემპიონი, მარკ იანკულოვსკი კი ექვსი სეზონია „უდინეზეში" თუ „მილანში" გამოდის.

ეს ორი ფეხბურთელი კონტრშეტევებზე აწყობილი თამაშისას ძალიან დიდ როლს ასრულებს და „სკუადრა აძურას" კაპიტანი ფაბიო კანავაროც სწორედ მათზე ამახვილებს ყურადღებას:

„პაველი ისეთი ფეხბურთელია, როშლის წინააღმდეგაც თამაში გამაღიზიანებელი გახლავთ — მოგეხსენებათ, კანავარო და ნედვედი „იუვენტუსში" თანაგუნდელები არიან — ის მებრძოლი სულის ადამიანია, თანაგუნდელებს მაგალითს აჩვენებს და მუდამ თავგადაკლული უტევს მეტოქეთა კარს. ნედვედი დიდი პროფესიონალი და ნამდვილად სახიფათო მეტოქეა".

შეგახსენებთ, რომ ამავე ჯგუფში ჩეხების ტოლად არის განის ნაკრებიც, რომელიც პარალელურ მატჩში ერთქულიან ამერიკას ხვდება.

ზემოხსენებული ნედვედისა და იანკულოვსკის გარდა, ჩეხთა მწვრთნელ კარელ ბრიუკნერს იტალიელებზე დამატებით ინფორმაციას, ბუნებრივია, მცველი ტომაშ უიფალუშიც აწვდიდა. ის, მოგეხსენებათ „ფიორენტინაში" თამაშობს. უბრალოდ, თავშივე იმიტომ არ ვახსენეთ, რომ დისკვალიფიცირებულია.

იანკულოვსკი: „მწვრთნელმა ჩვენ სამს განსაკუთრებით ბევრი გამოგვკითხა და მინდა გითხრათ, დიდძალი ინფორმაციაც მიიღო. იტალიაში გატარებული ექვსი წლის შემდეგ, ამ ქვეყნის ფეხბურთს ჩემთვის მართლაც განსაკუთრებული გემო აქვს და მასზე ბევრი ლაპარაკი შემიძლია".

მოგეხსენებათ, ჩეხთაგან დაშავებულია გიგანტი ფორვარდი იან კოლერი, ხოლო მისი შემცვლელი ვრატისლავ ლოკვენცი დისკვალიფიცირებულია.

„ტრავმიანობის მხრივ იღბალი მაინც და მაინც არ გვიწყობს ხელს, მაგრამ თუ მილან ბაროშის მოედანზე შეშვება მოვახერხეთ, ძალიან კარგი იქნება".

დაცვაში უიფალუშის ადგილს რადოსლავ კოვაჩი ან მარტინ ჟირანეკი დაიკავებს.

იტალიურ პრობლემათაგან კი უპირველეს ყოვლისა დანიელე დე როსის დისკვალიფიკაციაა აღსანიშნავი. გეხსომებათ, ყმაწვილმა რომაელმა, აშშ-ის ნაკრებთან შეხვედრაში, მეტოქეს ყოვლად სულელურად იდაყვი უთავაზა და სრულიად დამსახურებულად წითელი ბარათი მიიღო. ფეხი სტკივა სიმონე პეროტას.

როგორც ამბობენ, მარჩელო ლიპი მცველ ჯანლუკა ძამბროტას ნახევარდაცვაში წაწევს, ალბერტო ჯილარდინოს კოჭის ამბავი კი კიდევ გასარკვევია.

პაპუნა კედია

ჩეხეთი — იტალია

ჰამბურგი. „AOL არენა". 18.00

1. ჩეხი; 2. გრიგერა, 13. ჟირანეკი, 22. როზენალი, 6. იანკულოვსკი; 8. პობორსკი, 4. გალაშეკი, 11. ნედვედი; 10. როსიცკი; 15. ბაროში, 18. ჰაინცი	1. ბუფონი; 2. ძაკარდო, 13. ნესტა, 5. კანავარო, 3. გროსო; 8. გატუზო, 21. პირლო, 19. ძამბროტა; 10. ტოტი; 9. ტონი, 11. ჯილარდინო
მწვრთნელი: კარელ ბრიუკნერი	მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

მსაჯი: ბენიტო არჩუნდია (მექსიკა)

ფილიპო ინძაგი

განა — აშშ

ნიურნბერგი. „ფრანკენშტადიონი". 18.00

2. კინგსტონი; 15. პანცილი, 13. მოჰამედი, 5. მენსა, 7. შილა; 10. აპია, 8. ესიენი, 20. ო. ადო, 9. ბოატენგი; 14. ამოა, 19. პიმპონგი	18. კელერი; 6. ჩერუნდოლო, 22. ონიეკუ, 13. კონრადი, 3. ბოკანეგრა; 17. ბისლი, 10. რეინა, 8. დემპსი, 21. დონოვანი; 20. მაკბრაიდი, 9. ჯონსონი
მწვრთნელი: რატომირ დუიკოვიჩი	მწვრთნელი: ბრიუს არენა

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

ოტო ადო

მენდელეევის ტაბულა

ოდო ქიმიურად აზროვნებს

მთელი განა უზარმაზარი რაოდენობის ადრენალინს გამოყოფს — ამ აფრიკულ ქვეყანას მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში მოხვედრის შანსი აქვს. როგორ მოახერხეს განელებმა ეს? როგორ და ჩეხეთის ნაკრეთან ჩადენილი სასწაულით — 2:0 — და, თუ დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთანაც იგივეს შეძლებს, მაშინ მისთვის პლეი ოფის კარი ღია იქნება.

და მოვლენათა ასეთი განვითარების შემთხვევაში პლეი ოფში სავარაუდოდ ბრაზილია — განას ვიხილავთ.

„ქიმია ჭეშმარიტებას ღაღადებს და მას თავისი კანონები აქვს. თუ ჩვენ აშშ-ს დავამარცხებთ, მერე ყველაფერი შეიძლება მოხდეს" — თქვა განელმა ნახევარმცველმა ოტო ადომ, ოღონდ თუ თქვენ გაიგეთ რა შუაშია ქიმია, გთხოვთ ჩვენც გვითხრათ.

განის ნაკრებს, მოგეხსენებათ, 60 წლის სერბი რატომირ დუიკოვიჩი ხელმძღვანელობს და ის თავის მოთამაშეებს ცხოვრების უმთავრესი თამაშისკენ მოუწოდებს.

„დაე, ამერიკამ ინერვიულოს, რადგან ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს და არავისი არ გვეშინია — თქვა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე დუიკოვიჩმა — განა ახლგაზრდა და კერკეტი კაკალია. მართალია, შესაძლოა, იტალია-ჩეხეთის შედეგიდან გამომდინარე ჩვენ ფრითაც გავიდეთ მერვედფინალში, მაგრამ გამორიცხულია, ფრისთვის არ ვიბრძოლებთ. ჩვენი პრინციპი შემტევი ფეხბურთის თამაშია და ამიტომ მიზნადაც მხოლოდ მოგებას დავისახავთ".

მაგრამ, განელების ფეხბურთს კარგად იცნობს აშშ-ს ნაკრების თავკაცი ბრიუს არენაც.

„იმედი მაქვს, ჩვენ მათ სწრაფ გუნდურ თამაშს გავუძლებთ. განის ნაკრები მართლაც ძალიან ძლიერი გუნდია, რომელსაც ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი მიკაელ ესიენი ჰყავს. მათ ნაკლზე კი ერთი ის შეიძლია გითხრათ, რომ დაცვაში მთლად შეკუმშულები ვერ არიან".

სიჩქარეზე ამახვილებს ყურადღებას ამერიკელი ნახევარმცველი ლანდონ დონოვანიც:



ბრიუს არენა

„სისწრაფე დიდი ფაქტორია. განელები მეტად ათლეტურებიც არიან და ფაქტია, ამ უპირატესობის გამოყენებას შეეცდებიან. როდესაც ისინი თავისებურად თამაშობენ, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ რიტმს მოწინააღმდეგე ვერ არღვევს, მეტად სახიფათონი ხდებიან."

პაპუნა კედია

იტალია	2	1	1	0	3:1	4
ჩეხეთი	2	1	0	1	3:2	3
განა	2	1	0	1	2:2	3
აშშ	2	0	1	1	1:4	1

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

დღეს. F ჯგუფი. III ტური

ზიკო ზიკოების წინააღმდეგ

ოგურომ ბზარი დაინახა

იაპონია — ბრაზილია

დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი“. 23.00

23. კავაგუჩი; 21. კაჯი, 19. ცუბოი, 22. ნაკაზავა, 14. ალექსი; 8. ოგასავარა, 7. ნაკატა, 17. ინამოტო, 10. ნაკამურა; 9. ტაკაჰარა, 13. იანაგისავა მწვრთნელი: ზიკო	1. დიდა; 2. კაფუ, 3. ლუსიო, 4. ფუანი, 6. რობერტო კარლოსი; 8. კაკა, 5. ემერსონი, 11. ზე რობერტო, 10. რონალდინიო; 7. ადრიანო, 9. რონალდო მწვრთნელი: კარლოს ალბერტო პარეირა

მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)

ზიკო და ნაკატა

ბრაზილია მერვედფინალში, მაგრამ სავარაუდო შემადგენლობიდან ჩანს, რომ კარლოს ალბერტო პარეირა ნაცადი ბიჭების დასვენებას არ აპირებს. პენტაკამპეონთა მეტოქე იაპონიაა, რომელსაც ჯგუფიდან გასვლის შანსი აქვს, თუმც საამისოდ, პირველ რიგში პარიერას გუნდს უნდა მოუგოს და თან დამოკიდებული იქნება ჯგუფის მეორე მატჩის შედეგზეც.

„ჩვენ კარგად ვითამაშეთ ხორვატიასთან, უკეთესად ავსტრალიასთან და კიდევ უფრო უკეთ უნდა ვითამაშოთ იაპონიასთან“ — თქვა ბრაზილიელთა მწვრთნელმა.

ზიკოს გუნდის უმთავრესი პრობლემა უგოლობაა. პირველ ტურში ავსტრალიასთან ოხრად მომენტებიდან მხოლოდ ერთი გამოიყენეს, ხორვატიასთან კი შეტევა სულ დაუჩლუნგდათ. „ერთი რამ ცხადია — ორი და მეტი ბურთის სხვაობით მოგება გვჭირდება“ — ბრძანა ლეგენდარულმა ბრაზილიელმა.

„ჯერ არ გადამიწყვეტია, დავასვენებ თუ არა მსუბუქად ტრავმირებულებს და ყვითელბარათიანებს — აღნიშნა პარეირამ — ზოგჯერ ცვლილებები სასარგებლოა, ზოგჯერ კი — არა. მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება მხოლოდ 11 ფეხბურთელით შეუძლებელია. მე მჯერა, რომ ნებისმიერი მოთამაშე, ძირითადი იქნება თუ სათადარიგო, საქმეს ფრიადზე შეასრულებს“.

„ჩემს ფეხბურთელებს ავუხსენი, რომ აქ თავისი სამშობლოსთვის უნდა იბრძოლონ. ამიტომ თავდაუზოგავად შრომა და გარჯა მართებთ“ — თქვა ზიკომ, რომელიც საბრაზილიოდ შემადგენლობაში ცვლილებებს აპირებს, გუნდს ხომ გოლების გატანა სჭირდება. იაცუში იანაგისავამ ხორვატიასთან შეხვედრაში სამი მეტრიდან ააცილა კარს, მანამდე კი ავსტრალიასთანაც ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა, მაშინ, როცა იაპონელები 1:0-ს იგებდნენ.

სამიზნე აერია ნაოჰირო ტაკაჰარასაც, რომელმაც ჩემპიონატის დაწყებამდე გერმანიასთან ამხანაგურ მატჩში დუბლი შეასრულა.

„ბრაზილია შეტევაში ძალიან ძლიერია, მაგრამ მათი დაცვის ცენტრი მთლად საიმედო ვერაა“ — განაცხადა მასაში ოგურომ, ვინაც ერთი წლის წინ კონფედერაციის თასზე გაუტანა პენტაკამპეონებს. შეგახსენებთ, რომ ის მატჩი 2:2 დასრულდა. სულ კი ეს გუნდები ხუთჯერ შეხვედრიან და აქედან სამი ბრაზილიელებმა მოიგეს, ხოლო ორჯერ ფრეზე გაიყარნენ. მსოფლიოს ჩემპიონატებზე კი დღეს მათი პირველი გაჯიბრება იქნება.

ბრაზილიელებს 2005 წლის ოქტომბრის აქეთ გოლი არ გაუშვიათ. ბოლოს მათ ბოლივიამ გაუტანა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში.

მიუხედავად ამისა, ზიკოს მეტოქის არ ეშინია: „ბრაზილიისგან მონსტრს ნუ შექმნით. ჩვენ მათი არ გვეშინია. მეტიც, ძალიან ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი. გაიხსენეთ 1998 წელი, როცა მერვედფინალში თავდაგულებულმა ბრაზილიელებმა ნორვეგიასთან წააგეს“.

ვაჟა ხუციშვილი

ხორვატია — ავსტრალია

შტუტგარტი. „გოტლიბ დაიმლერ შტადიონი“. 23.00

1. პლეტიკოშა; 7. შიმიჩი, 4. რ. კოვაჩი, 3. შიმუნიჩი; 2. სრნა, 5. ტუდორი, 10. ნ. კოვაჩი, 8. ბაბიჩი; 19. კრანჩარი; 9. პრსო, 11. კლასნიჩი მწვრთნელი: ზლატკო კრანჩარი	1. შვარცერი; 2. ნილი, 3. მური, 14. ჩიპერფილდი, 6. პოპოვიჩი; 7. ემერტონი, 13. გრელა, 5. კულინა, 4. ჩეჰილი; 10. კიუელი, 9. ვიდუკა მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

ეს ორი ქვეყანა ერთმანეთთან ძალიან „ახლოსაა“, რადგან ავსტრალიაში საკმაოდ ბევრი ხორვატი ემიგრანტი ცხოვრობს. როგორც ამბობენ, მათი რიცხვი სულ მცირე, 52 ათასია. ასე რომ, ამ შეხვედრას წმინდა სპორტულის გარდა სხვა დატვირთვაც აქვს.

„ოზთა“ შვიდ მოთამაშეს — მარკ ვიდუკას, ტონი პოპოვიჩს, ჯეისონ კულინას, იოსიპ სკოკოს, ანტე კოვიჩს, მარკო ბრეშიანოსა და ჟელკო კალაჩს — ხორვატული სისხლი აქვს. იოსიპ შიმუნიჩი, ჯო დიდულიცა და ანტონი სერიჩი კი ავსტრალიაში დაიბადნენ, მაგრამ ისტორიული სამშობლოს, ხორვატიის ღირსების დაცვა არჩიეს.

ავსტრალიელთა კაპიტანი მარკ ვიდუკა თურმე ბავშვობიდან ხორვატიის ნაკრებში თამაშზე ოცნებობდა, მაგრამ მისი კარიერა სხვაგვარად აეწყო. 1995 წელს, როდესაც ვიდუკამ ავსტრალიელთა ოცწლამდელთა ნაკრებს უკაპიტნა, მაჯაზე ხორვატიის დროშის ფერებიანი სამკლავური ეკეთა. გარდა ამისა, მას სამი წელი ზაგრების „დინამოში“ აქვს გატარებული და ცოლიც ხორვატი ჰყავს.

იოსიპ სკოკო და ჯო დიდულიცა ბავშვობაში ფეხბურთს ერთად თამაშობდნენ, მაგრამ პირველმა ავსტრალიის ღირსების დაცვა არჩია, მეორემ კი ხორვატიისა. თუმც ისინი დღემდე მეგობრები არიან.

თავის დროზე, ხორვატიამ და ავსტრალიამ „დიდი ომი“ გამართეს იოსიპ შიმუნიჩის თაობაზე. საბოლოოდ, ბერლინის „ჰერტას“ მცველმა უპირატესობა ხორვატიას მიანიჭა და არც ნანობს.

„მე პროფესიონალი ვარ და, ცხადია, ყველანაირად ვეცდები, ხორვატიას გამარჯვებაში დავეხმარო. ბავშვობიდან ხორვატიის ნაკრებში თამაშზე ოცნებობდი, თუმცა ავსტრალიას ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ“ — აღნიშნა შიმუნიჩმა.

გუს ჰიდინკის თანაშემწე გრაჰამ არნოლდი: „ეს უამრავი ადამიანისთვის ძალიან ემოციური მატჩი იქნება. ავსტრალიაში უამრავი ხორვატი ცხოვრობს და ნაკრებშიც ბევრი ხორვატული წარმოშობის მოთამაშეა. ასე რომ, ეს შეხვედრა მათი ოჯახებისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ვფიქრობ, უმეტესობა ნებისმიერი შედეგით კმაყოფილი დარჩება“.

გუს ჰიდინკის ტაქტიკა 4-5-1 იქნება. ოზები მერვედფინალში უპირობოდ გავლენ, თუ მოიგებენ, მაგრამ ამისათვის ფრეც ეყოფათ თუ ბრაზილია არ წააგებს. აი, ხორვატებმა კი მხოლოდ 3 ქულაზე უნდა იფიქრონ, მათ უკან დასახევი გზა აღარ აქვთ. ზლატკო კრანჩარი უფრო შემტევი ტაქტიკით 3-4-1-2-ით აპირებს თამაშს.

თქვენ საიდანღაც მეცნობით

ზლატკო კრანჩარი

ხორვატთა დისკვალიფიცირებულ მცველს, რობერტ კოვაჩს, ალბათ, სტიეპან ტომაში შეცვლის. იგი მარჯვენა ფლანგზე ითამაშებს, ხოლო დარიო შიმიჩი დაცვის ცენტრში გადაიწევს. მეტი დანაკლისი არც ერთ ნაკრებს არ აქვს.

დაბოლოს, 1998 წელს გამართულ ამხანაგურ მატჩში ხორვატიამ ავსტრალია 7:0 გაანადგურა.

გიორგი კაკაბაძე

ბრაზილია	2	2	0	0	3:0	6
ავსტრალია	2	1	0	1	3:2	3
ხორვატია	2	0	1	1	0:1	1
იაპონია	2	0	1	1	1:3	1

თმის გადანერგვის კლინიკა
«ჰეალაინ ინტერნეიშნლ»
ბელომძღოლნელი ჭრილთ. თმაზ თმაზსშეილი

უყურე ფეხბურთს ჩვენთან ერთად დაშედეგით კმაყოფილი დარჩები

- უფასო კონსულტაცია, კონფიდენციალობა
- გარანტირებული შედეგები
- უახლესი აპარატურული ტექნოლოგიები

HAIRLINE
HEALINE INTERNATIONAL

მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული

ერთადერთი კლინიკა ამერიკა-კავკასიაში

ქავთარაძის 16 (სამეუნაღო ტომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

გიო ახვლედიანის სვეტეული

შეცვალე

ამ შეცვლებზე რა ამბავია, თუ ხედავთ.

იმ დღეს ის ტუნისელი ბიჭიც გადაირია, შეცვლა როგორ გამიბედესო.

რა თქმა უნდა, ფეხბურთელების სრული უმრავლესობა მშვიდობიანად, ტაშის კვრით გადის მოედნიდან, მაგრამ ამდენი გაბრაზებული შეცვლილი მსოფლიოს თასზე მე არ მახსოვს.

აგე, ირანმაც წინდაწინ გამოაცხადა, რომ ანგოლასთან არ ათამაშებდა ალი ქარიმის, რომელმაც, როცა შეცვალეს, ჩანთების სროლა დაიწყო. ზიდანმაც რაღაც გაისროლა კუთხისკენ, რონალდო ზედ პირით ხაზზე ილანძღებოდა, უეინ რუნი კი ბუცებს ახეთქებდა მიწას და პლასტირის გორგლებს ისროლა გაურკვეველი მიმართულებით.

თანაც, ყველანი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გაბრაზდნენ, რომ შეცვალეს, რადგან ზოგი იგებდა, ზოგი, აგებდა და ზოგიც ფრეზე იყო. მგონი შეცვლა ერთგვარ შეურაცხყოფათ ითვლება. ასე გამოდის. ანდა, პასუხად თამაშის წინ ნალაპარაკევზე. პარეირამ ხომ უთხრა რონალდოს ავსტრალიასთან თამაშის წინ, ეს თამაში შენი შანსიაო. ჰოდა, მერე შეცვალა. როგორც ბობი რობსონმა აღნიშნა, რონალდო იმ ფეხბურთელის მკრთალი აჩრდილიღაა, რომელიც მან ოდესღაც „ბარსელონაში“ მიიყვანა. ზიდანიც აჩრდილია, მერე რა? თამაშის დამთავრებამდე ორი წუთი რჩებოდა და რაიმონ დომენეკმა ის გამოცვალა. მე მგონია, იმ ყვითლის გამო. ზიზუს ნერვები ღალატობს: ორ თამაშში ორი ყვითელი ნამეტანია. მგონი, იმ სიჩქარეში დომენეკიც აიჭრა, იფიქრია, წითელი არ მიიღოსო: ზიდანმა იცის ხოლმე მოულოდნელი წითლების მიღება.

ფრანგების მწვრთნელმა კი აი, რა თქვა: აქ იმისთვის არ ვარ, რომ ფეხბურთელის ბედნიერებაზე ვიფიქრო. არც მან უნდა იფიქროს ჩემს ბედნიერებაზე. ფეხბურთელს უხარია ხოლმე, როცა მას მოგებულ თამაშში ცვლი. ფრეზე, ჩვეულებრივ, სწყინს. ისე კი, ზიდანს ტყუილად მისცეს ყვითელი.

ახლა რუნი, რომელიც ძალიან გაბრაზდა.

რა აქვს ერიკსონს კარგი და, ალბათ ის, რომ ფეხბურთელებთან ღია ლაპარაკი ეხერხება.

თუ გახსოვთ მარსელო სალასი, ჩილელი. „ლაციოს“ მწვრთნელად რომ იყო შვედი, ერთხელ სალასი შეცვალა. იმან ლამის ტანსაცმელი შემოიხია, ბოთლები ისროლა, იფურთხა და ილანძღა. ერიკსონმა არც საქმე გაურჩია და არც ჯარიმები გამოუწერია. დაისვა ერთ დღესაც და ბარე ორ საათს ელაპარაკა: შეცვლის მიზეზი აუხსნა, დაუსაბუთა, ფსიქოლოგიის წიგნები გადმოულაგა. ამან სალასი ჯერ დააბნია, მერე დააფიქრა და საბოლოოდ კი დაამშვიდა.

შვედეთთან თამაში რომ მორჩა, ერიკსონმა რუნის ჰკითხა, რატომ გაბრაზდიო. რუნის უპასუხია, მეორე ტაიმში უკეთ შემეძლო თამაშიო. თუმცა შვედს თავისი მიზეზი ჰქონდა მის შესაცვლელად: „ჯერ-ჯერობით ძალიან ვერ დავტვირთავ, რისკი დაუშვებელია“.

მოდი და ეკამათე მწვრთნელებს შეცვლების გამო. შენ კი გწყინს, მაგრამ იმან რაღა ქნას?!

იყო დრო, როცა მსოფლიო ჩემპიონატზე კაცის შეცვლა არ შეიძლებოდა. ოქროს მედალსაც ის თერთმეტი ფეხბურთელი იღებდა, ვინც ფინალურ მატჩში გამოვიდა მინდორზე. სულელური წესი იყო, მე თუ მკითხავთ. მედლები მთელს გუნდს ეკუთვნის. ძველი წესით, მექსიკელთა ახლანდელი მწვრთნელი რიკარდო ლა ვოლპე მსოფლიო ჩემპიონი ვერ იქნებოდა, რახან ერთხელაც არ გამოუყვანიათ მინდორზე 1978 წლის მსოფლიო თასზე: ისევე, როგორც ჰელე ვერ არის 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ამარილდო კი არის. ამ ძველი წესის წყალობით, უმეტლოდ დარჩა ბევრი კარგი ფეხბურთელი: ალტაფინი, ჯიმი გრივსი... რა ვიცი, ბევრნი. გახსენებაზე: ორშაბათს რიკარდო ლა ვოლპემ ჟურნალისტებს წყალი შეასხა. ალბათ შეკითხვები არ მოუწონა.

ახლა კიდევ ესპანეთი.

იქაურმა გაზეთმა „20 მინუტოს“ ნოსტრადამუსი მოიხმარა: „მეექვსესა თვესა ორი ათასის ექვსის წლის მეფე ესპანეთისა გარდაივლის მთებს პირინეისას და წარუძღვება ჯარსა თვისას. იქმნება ომი ფიცხელი შუაგულს ევროპაში და სძლევს მეფე ესპანიისა ლაშქარს ბელზეზუბისას, დაამარცხებს და დაამცრობს მას. ხოლო შემდგომად ამისა, წმინდა გრაალი მოვა და დაივანებს ესპანიასა შინა.“

ეს ნიშნავს, რომ ესპანეთი გერმანიიდან თასს წამოიღებსო.

მგონი, ეს არაფერს არ ნიშნავს.

ესპანეთი ძალიან კარგი და სასიამოვნო გუნდია, ოღონდ მთავარი გამოცდები წინა აქვს. ჩვენ ვიცით, რომ ლუის არაგონესი ბრაზიანი მოხუცი კაცია, არ უყვარს ზანგები და ყვითელი ფერი და ძალიან მაგრად იცის ფეხბურთი. მგონი, მიგელ მუნიოსის შემდეგ ასეთი გამოცდილების კაცი საერთოდ არ მდგარა ესპანელთა სათავეში. აქ საფიქრალი სხვა არის: ალბათ ყველას აინტერესებს ესპანელთა ნამდვილი ტესტირების შედეგები. ეს საქმე თითქოს იკისრა ტუნისმა, მაგრამ დაიშალა და დაირღვა და არცთუ მაინცდამაინც ესპანელთა განსაკუთრებული მეცადინეობით. ესპანელებს ნამდვილად ეკუთვნოდათ მოგება იმ თამაშში, მაგრამ არაბები ძალიან აირივნენ და ეს იმიტომ არ მომხდარა, რომ ესპანელებმა მათ რაღაც განსაკუთრებული მოახვიეს თავს. პირველი გაშვებული გოლის შემდეგ, მგონი, ყველა არაბი სადღაც წავიდა: მგონი, უკრაინაში.

მაგრამ ესპანეთი ძალიან სასიამოვნოა.

ფაბიო კანავარომ თქვა მაგარი რაღაცა: ჩვენ თუ მოგება გვინდა, ჩვენებური უსირცხვილო მეთოდებს უნდა დავუბრუნდეთო.

ზუსტად ასე თქვა, უსირცხვილოო, ცინიკურიო.

აბა, რა, თორემ ეს პატივცემული მარჩელო ლიპი მართლაც ცდილობს, რომ სხვანირი იტალია ჰყავდეს. ისეთი იტალია, ჯანი რივერას და მის ამხანაგებს რომ გამოჰყავდათ მოედანზე. ის იტალია ვერაფერს იგებდა.

ანდა ისეთი იტალია, 1978 წელს რომ ჰყავდა ენცო ბეარზოტს.

გოგოებს ეხსომებათ: რობერტო ბეტეგა.

რაღა გოგოებს, უკვე დედებს. ალბათ ზოგიერთი ბებიაცაა.

AFP

AFP

ლუის არაგონესი: მე ვხედავ კბილებს

AFP

ესპანეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ლუის არაგონესმა „ასთან“ ინტერვიუში ნაკრებზე ისაუბრა. „მეცნიერმა“ განაცხადა, რომ 23 ივნისს საუდის არაბეთთან ჯგუფური ეტაპის ბოლო თამაშში ძირითად შემადგენლობას დაასვენებს, რადგანაც სათადარიგოებსაც სავსებით ენდობა. დონ ლუისი და მისი ესპანეთი უკვე მერვედფინალში არიან და მწვრთნელმაც მედიასთან შეხვედრაში სავარაუდო მეტოქეების საფრანგეთის, შვეიცარიისა და კორეის შესაძლებლობები მიმოიხილა

— ტუნისთან მატჩის შესახებ რას გვეტყოდით?

— ყოველთვის ვამბობდი, რომ ტუნისის ნაკრები ამჟამინდელი მწვრთნელის წყალობით სწორ ტაქტიკას მისდევს. როუე ლემერი ისეთივე შესანიშნავი პროფესიონალია, როგორიც პიროვნება. ეს გუნდი კონტრშეტევებზეა აწყობილი. ამიტომაც შეგვექმნა პირველი გოლის შემდეგ პრობლემა. აფრიკელებმა დაწინაურების მერე ძირითადად დაცვაზე იზრუნეს და ჩვენც, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, პირველ ტაიმში გოლის გატანა ვერ შევძელით. ვაღიარებ, რომ ჩვენს ნაკრებს ისეთ ჩაკეტილ მეტოქესთან, როგორიც ტუნისია, თამაში გაუჭირდა.

— თუმც შესვენებაზე ფეხბურთელები გაამხნევეთ, სწორი ცვლილებები განახორციელეთ და თამაშში გარდატეხა შეიტანეთ...

— დიახ. შესვენებაზე ბიჭებს რამდენიმე შეცდომაზე მივუთითე და გამოსწორება ვთხოვე. მეორე ტაიმში სესკმა და ხაბი ალონსომ ერთმანეთში უფრო შეთანხმებულად ითამაშეს და ტორესის უკან მობურთავე რაულმაც კარგი სამსახური გაგვიწია — იმ შეხვედრაში ესპანეთის პირველი გოლი ხომ მან შეაგდო. ხოაკინიც მარჯვენა ფლანგზე გაიხსნა, თუმცა იქ ლემერმა ეშმაკობაში მაჯობა. როცა ხოაკინს მინდორზე ვუხმე, ვიცოდი, რომ მარჯვენა ფლანგელ ტუნისელ მცველს ერთი ყვითელი ბარათი უკვე ჰქონდა მიღებული და, სიტუაციის გართულების თავიდან ასაცილებლად, მას ნაკლებად აგრესიულად უნდა გაეწია ჩვენიანისთვის მეურვეობა. როუე ლემერმა კი „გაყვითლებული“ მცველი თამაშს გაარიდა და მის ნაცვლად სხვა შემოიყვანა.

— ყოველ შემთხვევაში, ესპანეთმა დაამტკიცა, რომ თამაშის შემოტრიალება შეუძლია. წაგებული პირველი ტაიმი საბოლოოდ მოგებულ მატჩად აქციეთ...

— მუნდიალი ძალიან სერიოზული ტურნირია და აქ არავინ არაფერს გაჩუქებს. თან, ახლა ყველამ ისწავლა თამაში და მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილე გუნდთა უმრავლესობაც ერთნაირ, მაღალ დონეზეა. მერვედფინალებიდან საქმე უფრო გართულდება. იქ შეცდომის უფლება თითქმის არ გვექნება და შეხვედრების ბედს უმეტესწილად ცალკეული დეტალები გადაწყვეტს. მაგალითად, თამაშზე კონცენტრაცია, კარგი მომენტების მეტოქეზე სწრაფად გამოყენება, ან კბილის კბილზე დაჭერა და მოთმინება მაშინ, როცა ერთი შეხედვით საშველი არსაიდან ჩანს...

— ანუ ეს დეტალები რომ გავაერთიანოთ, მოიგებს ის, ვინც უკეთესად იბრძვის?

— რა თქმა უნდა. ესპანეთს ახალგაზრდა, მაგრამ გონიერი ფეხბურთელები ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ეს ადვილი არ იყო, ბიჭებმა საჭირო ტაქტიკური კონცეფციები საოცრად სწრაფად აითვისეს. თან ახლა ნელ-ნელა გამოცდილებასაც იძენენ, რაც გადამწყვეტ მატჩებში დაეხმარებათ.

— მერვედფინალში გავედით, თუმცა ჯერ მეტოქე უცნობია ჩვენთვის. საფრანგეთი, შვეიცარია თუ კორეა — თქვენ რომელთან თამაშს არჩევდით?

— საფრანგეთთან ასე უცბად დაჯახება არ მსურს. მერვედფინალში თუ გალებთან გაგვამწესეს, აღფრთოვანებული დავრჩებიმეთქი რომ გითხრათ, მოგატყუებთ...

— მაგრამ დომენეკის ნაკრებმა მუნდიალზე მეტად უსუსური თამაში აჩვენა...

— გეთანხმებით, თუმცა ერთი შეხედვით სუსტ ფრანგებს ჰყავთ მსოფლიოს ჩემპიონატის შესანიშნავად მცოდნე ვეტერანები, რომლებიც, როცა საქმეს დასჭირდება, გააფთრებით იბრძოლებენ გამარჯვებისათვის. ამას წინათ ვიღაც ჟურნალისტმა თქვა, საფრანგეთის ბებერ ნაკრებს კბილები აღარ შერჩაო. ეს ნაწილობრივ მართალია, თუმცა გალებს კიდევ აქვთ დარჩენილი ბულდოგივით მოკაუჭებული და წვეტიანი ეშვები — „მსხვერპლს“ თუ ერთხელ ყელში სწვდნენ, დაზრჩობამდე არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებენ. ამას საფრანგეთზე ვამბობ, როგორც გუნდზე, ვარსკვლავებზე რომ არაფერი ვთქვათ.

— და შვეიცარია?

— შვეიცარიასაც ჩვენსავით ახალგაზრდა შემადგენლობა ჰყავს და იმათი სათამაშო სტილიც დაახლოებით „ესპანურია“ — სწრაფი შეტევა და ბურთის კონტროლი. კარგად და ტექნიკურად თამაშობენ. საფრანგეთივით ვეტერანები მხარს ვერ უმაგრებენ, მაგრამ ახალგაზრდები არანაკლები სახიფათონი არიან.

— დაგვრჩა კორეა. 2002-ში „ფურია როხა“ მეოთხედფინალიდან ამ ნაკრებმა შინ გაისტუმრა. 4 წლის შემდეგ რევანშს აპირებთ?

— კორეელები მოედანზე მატჩის პირველი წუთიდან ბოლომდე ისე დაქრიან თითქოს ეშმაკი ჰყავდეთ ზურგზე შემჯდარი. თან ყველა სწრაფია. პირველ ტაიმში ერთი შემადგენლობა რომ გამოიყვანონ და შესვენების შემდეგ მეორე, განსხვავებას ვერ შეამჩნევთ. საერთოდ, მერვედფინალში სამივე ჩვენს სავარაუდო მეტოქეს თავისი ძლიერი მხარეები აქვს და ამის გამო პატივისცემას იმსახურებს.

— ადრე განაცხადეთ, რომ საუდის არაბეთთან სათადარიგო გუნდს გამოიყვანდით...

— დიახ, არაბებთან პირველი ორი მატჩისგან განსხვავებულ შემადგენლობას ნახავთ. მე ყველა იმ 23 ფეხბურთელს ვენდობი, ვინც ნაკრებში მოვიწვიე. სათადარიგოები თავიანთ ძალას ეროვნული გუნდის ვარჯიშებზეც ამტკიცებენ.

— ფერნანდო ტორესის შესახებ რას ფიქრობთ? მუნდიალამდე ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნეთ, „ელ ნინიო“ მსოფლიოს ჩემპიონატზე აუცილებლად გაიბრწყინებსო...

— ტორესი დღეს შესანიშნავ ფორმაშია. ამ ფეხბურთელმა პირველ თამაშებში უკვე გამოიწვია სპეციალისტთა აღტაცება და გეტყვით, რომ საოცარი სისწრაფისა და ტექნიკის წყალობით ქომაგთა მოჯადოება კიდევ უნდა განაგრძოს. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა — თუ „ელ ნინიომ“ ტემპი არ დაადგა მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლოს მას დიდსაფეხბურთო საოცრებად შერაცხავენ.

— თქვენი აზრით, შეძლებს ფერნანდო გერმანია 2006-ის საუკეთესო მეგოლეობას?

— ვნახოთ, რა მოხდება. ამისთვის ესპანეთის ნაკრები მუნდიალზე ძალიან შორს უნდა წავიდეს.

— ტუნისთან რთული ჯახის შემდეგ ესპანური ინჩადა შეფიქრიანდა. ცხადია, ყველა მეტოქეს უკრაინასავით იოლად ვერ მოვერევით, თუმცა განსაკუთრებულად კარგი თამაში ჯერ ჩემპიონატის სხვა ფავორიტებსაც არ უჩვენებიათ...

— ზოგიერთი გუნდი მართლაც 70 პროცენტით დაიხარჯა მოედანზე. უპირველეს ყოვლისა, ბრაზილიას ვგულისხმობ, თუმცა პარეირას შეგირდებმა ჯგუფის ორი მატჩი მოიგეს და ნელ-ნელა თამაშის სანახაობრივ მხარესაც გამოასწორებენ. გარდა ამისა, ბრაზილიამ ყველა სხვა გუნდზე უკეთესად იცის, მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედლების მოგება როგორ შეიძლება.

— არგენტინასაც, ალბათ, ფავორიტად თვლით...

— არგენტინის ფავორიტობა, სერბეთთან უხვგოლიან მოგებამდე კარგა ხნით ადრე აღვნიშნე. ამ ნაკრებს ტაქტიკური რესურსებიც აქვს, ტექნიკურიც და იცის, მოედანზე ბრძოლა როგორ უნდა წარმართოს.

— ესპანეთის ეროვნული გუნდის ძლიერი მხარე ბურთის კონტროლი და სწრაფი შეტევაა. თუ შეუძლია „ფურია როხას“, ბრაზილიის ან არგენტინის მსგავს მეტოქეს რაიმე სხვა სურპრიზი შესთავაზოს?

— ყოველთვის ვამბობდი, რომ ვინც ბურთს აკონტროლებს, მატჩიც იმისაა და თუ ჩვენ ბრაზილიას, არგენტინას, საფრანგეთს, გერმანიას თუ სხვას ბურთი „დავუმალეთ“, გამარჯვებაც ესპანეთს დარჩება. ფეხბურთელი მოედანზე მუდამ მოგების იმედით უნდა გამოდიოდეს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ გრანდთან უწევს შეჯახება. უკრაინასთან იოლად გავიმარჯვეთ, თუმცა გერმანია 2006-ის ჭეშმარიტ სახეს ტუნისთან მატჩი წარმოადგენს... უწვალებლად მსოფლიოს თასს ვერ დაეპატრონები...

ხუთთვიანი წუთი

AFP

ინგლისის ნაკრების კაპიტანმა დევიდ ბექემმა თქვა, მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა მოვიგოთ მაიკლ ოუენისთვისო. ოუენმა შვედეთთან მატჩის პირველ წუთზე მუხლი იტკინა და მუნდიალს დაემშვიდობა. „ნიუკასლის“ ფორვარდს მყესები დაუზიანდა და ხუთი თვე ველარ ითამაშებს. ეს კი სვენ გორან ერიკსონს ახალ თავსატეხს გაუჩენს. მის განკარგულებაში ახლა სამი ფორვარდი დარჩა: პიტერ კრაუჩი, რომელმაც სამ მატჩში ერთი გოლი გაიტანა, ახლახან მომჯობინებული უეინ რუნი და ყმაწვილკაცი თეო უოლკოტი.

ბექემი: „შვედეთთან მატჩის შესვენებაზე შევიტყვეთ ოუენის მძიმე ტრავმის ამბავი და ხასიათი წაგვიხდა. მაიკლი სწორედ ისეთი ფორვარდია, რომელიც დიდ ტურნირებზე სჭირდება გუნდს. სამწუხაროდ, ველარ დაგვეხმარება და ჩვენ გვსურს, რომ მსოფლიოს თასი მოვიგოთ და გამარჯვება მას მივუძღვნათ“.

ერიკსონმა ოუენის ნაცვლად კრაუჩი შეუშვა, მაგრამ აყლაყუდამ ცუდად ითამაშა. შვედ მწვრთნელს ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე აკრიტიკებდნენ, ხუთი ფორვარდი რატომ არ მიგყავსო. ერიკსონს რუნის გამოჯანმრთელების ეიმედებოდა და „მანჩესტერის“ ფორვარდმაც შვედეთთან შეხვედრაში კარგად იშრომა, მიუხედავად იმისა, რომ გოლი ვერ გაიტანა.

ბრაზილიამ რონალდოს ლიპი სკამზე დასვა



ბრაზილიური მედია რონალდოს სუსტმა თამაშმა გააბრაზა. „სადამდე რონალდო?“ — გაღიზიანებულად იკითხა იქაურმა „ლანსემ“. ჟურნალისტები რონალდოს სკამზე დასმას და რობინიოს სასტარტო თერთმეტში დაყენებას ითხოვენ — „პატარა პელემ“ ხომ ასე გამოაცოცხლა პენტაკამპეონთა უღიმღამო ბურთაობა...

„18 წუთში რობინიომ უფრო მეტი ხიფათი შექმნა ავსტრალიის კართან, ვიდრე დანარჩენებმა იქამდე, 72 წუთის განმავლობაში. მოედანზე მისი გამოჩენით ნაკრები გონს მოეგო და მოედნის ბატონ-პატრონი გახდა“ — წერდა „ჟორნალ დუ ბრაზილი“

ოკეანისგაღმელი ჟურნალისტები მოითხოვენ, კარლოს ალბერტო პარეირამ რობინიო ძირითად შემადგენლობაში დააყენოს. არადა, პარეირა კიჭას „ფანია“.

„რონალდოს თამაში დღითიდღე უმჯობესდება. ავსტრალიასთან ურიგოდ არ უბურთავია და იაპონიასთანაც ძირითადში ვანდობ ადგილს“ — აცხადებს პენტაკამპეონთა მწვრთნელი.

„ო გლობო“ კი რისხვას აფრქვევს. „რონალდო მარტო იმიტომაა გუნდში, რომ პარეირა მასზე ფარივითაა გადაფარებული“ - აცხადებს ბრაზილიური გაზეთი.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბრაზილიის პრეზიდენტი ლულა და სილვა ფეხბურთში აქტიურად ჩაერია და ასევე აქტიურად გააკრიტიკა მწვრთნელი პარეირა და მისი ვარსკვლავი რონალდო. „კარგა ხანია, ასეთი ნერვიული და თავგზააბნეული ბრაზილიის ნაკრები არ მინახავს. ჩვენ მეტს ველოდებოდით, პარეირა კი თავისი არასწორი ტაქტიკით გუნდის თამაშს ვერ აუმჯობესებს“ — აღნიშნა სეუ პრეზიდენტმა. ექსცენტრული ლულა რონალდოს „მტერია“, ხან გასიებულს ეძახის, ხან კიდევ რას და მისი მორიგი უტაქტო გამოხდომა არ უნდა გაგვიკვირდეს... თავად რობინიო კი რონალდოს უფრო ძმას ეძახის და მედიისგან თუ გულშემატკივრებისგან მოთმინებას ითხოვს: „რონი ჩემი უფროსი ძმაა, პარეირა კი კაცი, რომელსაც ნაკრების მართვაში ვერავინ ჩაეზიარება. ყველას ვთხოვ, ნერვები მოთოკოს და ბრაზილიის ნაკრებს ენდოს. ჩვენ ამ ჩემპიონატის მოგებას ვაპირებთ, ისე როგორც ყოველთვის“.

ლადო ხომერიკი

შეიძლება, ხუთშაბაშიც იყოს

ხვალ სერია A-ს ფურცლებს თავზე დაახევენ



ფრანჩესკო ბორელი

როგორც ჩანს, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ თავისი გამოძიება დაასრულა და გარკვეულ გადაწყვეტილებამდეც მივიდა. გამოძიების ხელმძღვანელმა, კორუფციასთან ბრძოლით განთქმულმა ფრანჩესკო ბორელიმ უკვე გადაუგზავნა შედეგები ფედერაციის ჩინოვნიკ სტეფანო პალაცის, რომლის თქმითაც, პრესისთის, განცხადება უახლოეს დღეებში გაკეთდება. ეს სავარაუდოდ, იტალია - ჩეხეთის მატჩის მერე მოხდება, რათა „სკუადრა აძურას“ შეხვედრისთვის მომზადებაში და სასურველი შედეგის მიღწევაში ხელი არ შეეშალოს.

მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებულ სკანდალში მრავალი ჩინოვნიკის გარდა ოთხი კლუბია გარეული — „იუვენტუსი“, „მილანი“, „ლაციო“ და „ფიორენტინა“. ამ გუნდებიდან კი ახლა, გერმანიაში, „სკუადრა აძურას“ რიგებში 13 მოთამაშეა. ბუნებრივია, განაჩენი მათ განწყობაზე იმოქმედებს, მით უმეტეს, თუ სასჯელი მძიმე იქნება.

ბორელის მოხსენებიდან ოფიციალური დეტალები ჯერ არ გავრცელებულა, მაგრამ ამბობენ, ყველაზე ცუდ მდგომარეობაში „იუვენტუსი“ აღმოჩნდებაო, რაც მოსალოდნელიც იყო. თურმე საუბარი, ტურინელთა არა სერია B-ში, არამედ უკვე სერია C-ში დაქვეითებაზეც ყოფილა, თანაც ბოლო ორ სეზონში მოპოვებული სკუდეტოების ჩამორთმევით. წესით, მთლად კარგი დღე არც „მილანს“ უნდა დაადგეს. „ლაციოს“ და „ფიორენტინას“ კი ქულების დაკლება ემუქრებათ.

რაც შეეხებათ კონკრეტულ პირებს, აქ ყველაზე საინტერესოა, რა ბედი ეწევათ „იუვენტუსის“ ყოფილ გენერალურ მენეჯერ ლუჩანო მოჯის, რომლის სატელეფონო საუბრების გამოც აგორდა მთელი ეს სკანდალი და იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს ფრანკო კარაროს. მათ განაჩენს 7 ან 9 ივლისს გამოუტანენ.

გიორგი კაკაბაძე

კოსმოპოლიტური მიმოხილვა

გუშინ „ევროსპორტზე“ „დიდი ფილი“ ამბობდა, მე მსოფლიოს ჩემპიონატების ამბავში და გაგებაში მაინცდამაინც გამოცდილი კაცი არ ვარ, ეს ჩემთვის მხოლოდ მეორე მუნდიალიაო. თავიდან ვიფიქრე, ბერიკაცმა, ალბათ, გაუბერა-მეთქი. კაცი მსოფლიოს ჩემპიონია და იძახის, გამოცდილება მაკლია, ეხლა ვსწავლობო. მერე ვიფიქრე, არა, კი არ გაუბერა, ალბათ აფერისტობს-მეთქი, მაგრამ ერთი ხუთი წუთიც რომ გავიდა ეჭვი გამიჩნდა, რომ „დიდმა ფილმა“ კი არ გაუბერა და ან აფერისტობს, პროსტო მე ვარ ქართველი.

ქართველი რომ ვარ, იმაზე მეტყობა, „უბრალოდ“ კი არა, „პროსტო“ რომ ვთქვი და კიდევ იმაზე, კაცის ნათქვამი ცვეტში რომ ვერ გავიგე. ეგრევე აფერისტობას და ლეტნად ყოფნას დავეჩალიჩე. არადა, ნათქვამია, კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო და კიდევ, ნათქვამია, სწავლა სიბერემდეო. თან, ესეც ქართველების ნათქვამია, მაგრამ ძველი. მაშინ წინაპრებს, ეტყობა, ესე თქმა აწყობდათ.

. მოკლედ... ტოისწ კაროჩე, „დიდმა ფილმა“, ვსწავლობო, „დიდმა თენგიზამ“ კიდევ, შენ ვის ასწავლი, ბიჭო ფუტბოლს, შენი დედაო და ამასწინათ ერთი მასტი იმენა ცემაში გახია. „დიდი თენგიზა“ ჩვენი ძმაა, ტრენერობს, უკვე 29 წლისაა და ეხლა მოსწავლეების მშობლებს ფულს აგროვებინებს, ბავშვები შეჯიბრებაზე ვარკეთილში რომ წაიყვანოს. თენგიზას გუნდი ნი.ტო დიდ დიღომშია, ნი ტო ჩვეულებრივ დიღომში.

დიდი ფილი, დიდი ფული...

ისე, კაცს იმდენი რომ გაქვს, რამდენიც მაგ სკოლარის, იქნები წყნარად და ისწავლი, აბა, რას იზამ.

დიდი თენგიზა ამას ვერ იზამს...

აზრზე მოდი, თხუთმეტი ბავშვი ხომ ჰყავს დიდ თენგიზას გუნდში. დაპუსწიმ, მეტრომდე ფეხით რო მივიდნენ და მერე მეტროთი წავიდნენ, ოცი თეთრი იქით, ოციც აქეთ, ეგ ორმოცი გაამრავლე თხუთმეტზე, რამდენი გამოდის? ექვსი ლარი, ხომ? თვითონ თენგიზასაც ხო უნდა წასვლა-მოსვლა, ეგეც ზემოდან ორმოცი თეთრი. იქ სიგარეტის ფული, ძმაო, ტრენერია, ინერვიულებს, რამე იქნება და გოპ სტოპ მი პადაშლი იზ ზა უგლა... რაღა დროს სწავლაა?! ეგეთ დღეში რო ხარ, ეგრევე ნასწავლი და გამოცდილი უნდა შეუდგე საქმეს თორემ ვსიო.

ამიტომ, აქ, საქართველოში, ეგეთები, სწავლა, მავლა და რამე არ გამოდგება. ჩვენთან, ჩემო კარგო, მიკროკლიმატია სხვა...

მარად თქვენი

პაპუნა ძედია მეტროდან

ობიექტი

AFP

AFP

აი, ფეხი და აი, გაცვეთილზე გაცვეთილი ბურთი. ეს ფეხ-ბურთია. ნაღდი, ეკვადორული სიღარიბიდან წამოსული. ეს ბავშვთა შეჯიბრებაა, კიტოდან 100 კილომეტრში სოფელ ხუნკალში რომ გაიმართა, ხოლო ხუნკალი ეკვადორელთათვის იმიტომ კი არ არის მნიშვნელოვანი, რომ ხინკალს ჰგავს, არამედ იმიტომ, რომ ამ სოფლის სამი ბიჭი ახლა გერმანიაშია, ნაკრებში თამაშობს...

იქითა ფეხების და კბილების ამბავი კი ცნობილია. თუ გნებავთ, ბუცებზე ქაცვები დავუთვალოთ... ამ ბიჭს ეგეთ ფეხ-ბურთში მილიონებს უხდიან.

გერმანელი მოხუცები თავშესაფარში ხარობენ. მიაქციეთ ყურადღება მარჯვენა ბაბუას, ფეხებშუა ლუდის ბოთლი უნდა ჰქონდეს გაჩრილი, ხოლო შუაში რომ დროშიანი ბებიაა, 90 წლისა ბრძანებულა.

ქვემოთ კი ფრანგი პაპარაცები თავიანთ ფეხბურთელებს ჩასაფრებიან, რათა ერთი ისეთი ფოტო დაუჩხაკუნონ, კარგად რომ გამოჩნდეს, რა შვილებიცა ბრძანდებიან.

AFP

სარგებელი ჯაკპოტ

წარმოგიდგენთ

გაიხსნა ჯაკპოტის ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

			1	X	2	1-X	1-2	X-2
			მსოფლიო ჩემპიონატი					
			22 ივნისი					
18:00	191	ჩეხეთი-იტალია	3.65	3.00	2.05	1.64	1.31	1.21
18:00	192	განა-აშშ	2.20	3.30	3.00	1.31	1.26	1.57
23:00	193	ხორვატია-ავსტრალია	2.35	3.20	2.80	1.35	1.27	1.49
23:00	194	იაპონია-ბრაზილია	11.00	5.30	1.22	3.57	1.09	1.00
			23 ივნისი					
18:00	195	უკრაინა-ტუნისი	1.60	3.50	5.50	1.09	1.23	2.13
18:00	197	ს.არაბეთი-ესპანეთი	14.00	5.80	1.17	4.10	1.07	1.00
23:00	198	შვეიცარია-ს კორეა	2.05	2.80	4.00	1.18	1.35	1.64
23:00	199	ტოგო-საფრანგეთი	14.00	6.00	1.17	4.19	1.07	1.00

			1	X	2	1-X	1-2	X-2
			აშშ					
			24 ივნისი					
23:45	304	კოლამბიასი-ჩივასი	1.90	3.10	3.40	1.17	1.21	1.62
23:45	305	ვაშინგტონი-კანსასი	1.90	3.10	3.50	1.17	1.23	1.64
23:45	306	დალასი-კოლორადო	1.85	3.20	3.75	1.17	1.23	1.72
23:45	307	სოლტ ლეიკი-ნიუ ინგლენდი	2.50	3.00	2.50	1.36	1.25	1.36
23:45	308	ლოს ანჯელესი-ჰიუსტონი	2.80	3.00	2.25	1.44	1.24	1.28
			25 ივნისი					
23:45	309	ჩიკაგო-ნიუ იორკი	2.15	3.00	3.00	1.25	1.25	1.50
			შვედეთი. თასი					
			22 ივნისი					
19:00	533	ნორჩიოპინგი-მიალბი	1.60	3.60	4.80	1.10	1.20	2.05
20:30	534	ვასტერასი-ლანდსკრონა	3.30	3.30	2.00	1.64	1.24	1.24

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15191	ჩეხეთი-იტალია	3.00	2.80	2.00
15192	განა-აშშ	3.00	2.80	2.00
15193	ხორვატია-ავსტრალია	3.00	2.80	2.00
15194	იაპონია-ბრაზილია	3.00	2.80	2.00
15195	უკრაინა-ტუნისი	3.00	2.80	2.00
15197	ს.არაბეთი-ესპანეთი	3.00	2.80	2.00
15198	შვეიცარია-ს კორეა	3.00	2.80	2.00
15199	ტოგო-საფრანგეთი	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე (ძირ დრო)

16191	ჩეხეთი-იტალია	2.30	1.45
16192	განა-აშშ	1.60	1.90
16193	ხორვატია-ავსტრალია	1.60	2.00
16194	იაპონია-ბრაზილია	6.00	1.05
16195	უკრაინა-ტუნისი	1.25	3.00
16198	შვეიცარია-ს კორეა	1.45	2.35

გოლი:წყვილი-10უ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

17191	ჩეხეთი-იტალია	1.85	1.95
17192	განა-აშშ	1.85	1.95
17193	ხორვატია-ავსტრალია	1.85	1.95
17194	იაპონია-ბრაზილია	1.85	1.95
17195	უკრაინა-ტუნისი	1.85	1.95
17197	ს.არაბეთი-ესპანეთი	1.85	1.95
17198	შვეიცარია-ს კორეა	1.85	1.95
17199	ტოგო-საფრანგეთი	1.85	1.95

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12191	ჩეხეთი-იტალია	1.60	2.00
12192	განა-აშშ	1.70	1.90
12193	ხორვატია-ავსტრალია	2.00	1.60
12194	იაპონია-ბრაზილია	1.60	2.00
12195	უკრაინა-ტუნისი	1.70	1.90
12197	ს.არაბეთი-ესპანეთი	2.10	1.50
12198	შვეიცარია-ს კორეა	1.70	1.90
12199	ტოგო-საფრანგეთი	2.10	1.50

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13191	ჩეხეთი-იტალია	1.70	1.90
13192	განა-აშშ	1.70	1.90
13193	ხორვატია-ავსტრალია	1.70	1.90
13194	იაპონია-ბრაზილია	1.90	1.65
13195	უკრაინა-ტუნისი	1.65	1.80
13197	ს.არაბეთი-ესპანეთი	2.10	1.50
13198	შვეიცარია-ს კორეა	1.70	1.90
13199	ტოგო-საფრანგეთი	2.10	1.50

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(ბატონს 0-0 დამთავრებას შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14191	ჩეხეთი-იტალია	2.10	1.70
14192	განა-აშშ	1.75	2.10
14193	ხორვატია-ავსტრალია	1.80	2.00
14194	იაპონია-ბრაზილია	2.90	1.03
14195	უკრაინა-ტუნისი	1.25	2.50
14198	შვეიცარია-ს კორეა	1.60	2.20

ვინ დაიწყებს თამაშს

19191	ჩეხეთი-იტალია	1.85	1.85
19192	განა-აშშ	1.85	1.85
19193	ხორვატია-ავსტრალია	1.85	1.85
19194	იაპონია-ბრაზილია	1.85	1.85
19195	უკრაინა-ტუნისი	1.85	1.80
19197	ს.არაბეთი-ესპანეთი	1.85	1.85
19198	შვეიცარია-ს კორეა	1.85	1.85
19199	ტოგო-საფრანგეთი	1.85	1.85

ვინ მოაწვდის პირველ აუტს

24191	ჩეხეთი-იტალია	1.80	1.80
24192	განა-აშშ	1.80	1.80
24193	ხორვატია-ავსტრალია	1.80	1.80
24194	იაპონია-ბრაზილია	1.80	1.80
24195	უკრაინა-ტუნისი	1.80	1.80
24197	ს.არაბეთი-ესპანეთი	1.80	1.80
24198	შვეიცარია-ს კორეა	1.80	1.80
24199	ტოგო-საფრანგეთი	1.80	1.80

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

22191	ჩეხეთი-იტალია	1.80	1.80
22192	განა-აშშ	1.80	1.80
22193	ხორვატია-ავსტრალია	1.80	1.80
22194	იაპონია-ბრაზილია	1.80	1.80
22195	უკრაინა-ტუნისი	1.80	1.80
22197	ს.არაბეთი-ესპანეთი	1.70	1.80
22198	შვეიცარია-ს კორეა	1.80	1.80
22199	ტოგო-საფრანგეთი	1.90	1.70

იძნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

23191	ჩეხეთი-იტალია	2.90	1.32
23192	განა-აშშ	3.00	1.30
23193	ხორვატია-ავსტრალია	3.00	1.30
23194	იაპონია-ბრაზილია	2.90	1.32
23195	უკრაინა-ტუნისი	3.00	1.30
23197	ს.არაბეთი-ესპანეთი	3.00	1.30
23198	შვეიცარია-ს კორეა	3.00	1.30
23199	ტოგო-საფრანგეთი	3.00	1.30

ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

20191	ჩეხეთი-იტალია	1.90	1.60
20192	განა-აშშ	1.70	1.90
20193	ხორვატია-ავსტრალია	1.70	1.90
20194	იაპონია-ბრაზილია	2.10	1.45
20195	უკრაინა-ტუნისი	1.60	2.00
20197	ს.არაბეთი-ესპანეთი	2.40	1.40
20198	შვეიცარია-ს კორეა	1.70	1.90
20199	ტოგო-საფრანგეთი	2.40	1.40

ვინ მიიღებს პირველ გაგრძელებას (ყვ) (ძირ. დრო)

21191	ჩეხეთი-იტალია	1.70	10.00	1.90
21192	განა-აშშ	1.90	10.00	1.70
21193	ხორვატია-ავსტრალია	1.90	10.00	1.70
21194	იაპონია-ბრაზილია	1.50	10.00	2.20
21195	უკრაინა-ტუნისი	2.00	10.00	1.65
21197	ს.არაბეთი-ესპანეთი	1.50	10.00	2.20
21198	შვეიცარია-ს კორეა	1.90	10.00	1.70
21199	ტოგო-საფრანგეთი	1.50	10.00	2.20

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10191	ჩეხეთი-იტალია	3.95	2.00	2.35	1.32	1.47	1.08
10192	განა-აშშ	2.65	1.90	3.10	1.10	1.42	1.17
10193	ხორვატია-ავსტრალია	2.70	2.00	3.45	1.14	1.51	1.26
10194	იაპონია-ბრაზილია	8.00	3.00	1.35	2.18	1.15	1.00
10195	უკრაინა-ტუნისი	2.00	2.00	5.50	1.00	1.46	1.46
10197	ს.არაბეთი-ესპანეთი	10.00	3.10	1.30	2.36	1.15	1.00
10198	შვეიცარია-ს კორეა	2.50	2.00	4.35	1.11	1.58	1.37
10199	ტოგო-საფრანგეთი	10.00	3.10	1.30	2.36	1.15	1.00

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11191	ჩეხეთი-იტალია	5.20	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11192	განა-აშშ	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.50	20.00	10.00	5.00
11193	ხორვატია-ავსტრალია	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11194	იაპონია-ბრაზილია	15.00	15.00	20.00	12.00	5.00	3.50	30.00	12.00	1.40
11195	უკრაინა-ტუნისი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	6.50
11197	ს.არაბეთი-ესპანეთი	15.00	15.00	20.00	12.00	5.00	3.50	30.00	12.00	1.40
11198	შვეიცარია-ს კორეა	3.10	10.00	20.00	4.20	4.40	5.50	20.00	10.00	5.00
11199	ტოგო-საფრანგეთი	15.00	15.00	20.00	12.00	5.00	3.50	30.00	12.00	1.40

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

რატომ? იმიტომ

ფილოსოფია და კონცეფცია დირექტორისგან

თბილისის „დინამომ" სეზონი რიხით დაიწყო — ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის პირველ მატჩში სტუმრად სომხურ „კილიკიას" 5:1 სძლია. მთავარი ბრძოლები კი „დინამოს" წინ აქვს და, როგორც ყოველთვის, ახლაც საინტერესოა, როგორი იქნება საქართველოს უტიტულოვანესი გუნდი ახალ სეზონში და უახლოეს მომავალში. ჩავთვალეთ, რომ საამისოდ ყველაზე კომპეტენტური რესპონდენტი „დინამოს" მმართველი დირექტორი გიორგი ტყავაძე იქნებოდა...

— რა ფილოსოფიის და კონცეფციის იქნება „დინამო" 2006-2007 წლების სეზონიდან?

— ფილოსოფია ერთია — შეტევა და მხოლოდ შეტევა. კარგია, რომ ჩვენს მწვრთნელსაც უყვარს ასეთი სტილი. ამან „დინამოს" საერთო შედეგს არ უნდა ავნოს, მაგრამ რაც უფრო მეტი იქნება შეტევა, ეს ყველასთვის კარგი იქნება და ფეხბურთი უფრო მოიგებს. დანარჩენი კლუბში არაფერი შეიცვლება. ვეცდებით, ფეხბურთელებთან გრძელვადიანი კონტრაქტები გვქონდეს.

— ბოლო დროს „დინამოს" საშინაო მატჩებზე ძალიან ცოტა მაყურებელი დადის და ამ მხრივ ძველებურად მოწინავე აღარ არის — როგორ აპირებთ ამ პრობლემის გადაჭრას?

— მოწინავე აღარ არისო, რომ ამბობთ, რა პერიოდს გულისხმობთ?

— აწ დასრულებულ სეზონს...

— მანამდე იყო მოწინავე?

— ყოველ შემთხვევაში, „დინამოს" იმაზე ბევრად მეტი მაყურებელი ჰყავდა, ვიდრე 2005-06 წლების სეზონში. აქ იგულისხმება ფან-კლუბი, „მეცხრე სექტორი" და „დინამოს" სხვა გულშემატკივრებიც...

— ვერ დაგეთანხმებით. ფან-კლუბი აღარ არსებობს, „მეცხრე სექტორის" გულშემატკივრები კი ერევანშიც წამოვიდნენ „კილიკიასთან" მატჩზე. რაც შეეხება ფან-კლუბს, მიმაჩნია, რომ ფანობა უნდა მოდიოდეს გულიდან, კლუბის სიყვარულიდან და არა სახელფასო დაინტერესებიდან. გულშემატკივარი სიყვარულით უნდა მოდიოდეს სტადიონზე და არა ანგარებით.

— რა კონკრეტულ სამუშაოებს აწარმოებთ ახლა გულშემატკივრებთან?

— გულშემატკივარი რომ მოვიდეს, მთავარი თამაშის ხარისხია.

— როგორ მიგაჩნიათ, საშუალოდ რამდენი მაყურებლის მოყვანა უნდა შეძლოს „დინამომ" თავის საშინაო მატჩებზე ეროვნულ ჩემპიონატში?

— ერთია ჩემი სურვილი, მეორე — რა იქნება. რა თქმა უნდა, გვინდა, რაც შეიძლება მეტი მაყურებელი დადიოდეს სტადიონზე, მაგრამ ეს მხოლოდ „დინამოზე" არაა დამოკიდებული. თუ საფეხბურთო სამყაროში იქნება ისეთი ვითარება, რომელიც ემყარება მხოლოდ პატიოსან პრინციპებს, მაყურებელი ბევრად მეტი იქნება. ამიტომაც ვერ ვიტყვი, რამდენი მაყურებელი გვეყოლება, რადგან არ ვიცი, რა ვითარება იქნება 2006-07 წლების სეზონში. იმან, რაც წინა სეზონში იყო, შესაძლოა, განაპირობა ის მცირე მაყურებელი, თქვენ რომ ახსენეთ.

— თვლით, რომ FAIR PLAY-ის პრინციპები არ იყო დაცული და კიდევ ის, რომ დედაქალაქში უფრო რთულია მაყურებლის მიზიდვა, ვიდრე პერიფერიებში?

— თბილისში უფრო ძნელია, რადგან რაიონებში ძირითადი გასართობი ფეხბურთია, სადაც ემოციებისგან დაიცლები, თბილისში კი საამისო სხვა საშუალებებიც არის. მაგრამ მაყურებლის სიმცირეს მაინც ვაბრალებ სწორედ იმ სიტუაციას, რაც ქართულ ფეხბურთშია.

— მიგაჩნიათ, რომ კორუფციის დონემ ბოლო წლებში არ იკლო?

— მგონი, მოიმატა. კორუფციაში რას გულისხმობთ?

— გარიგებულ თამაშებს და მსაჯების მოქრთამვას...

— მგონია, რომ ყველაფერმა ამან მოიმატა და ყველა აღიარებს, რომ წინა ჩემპიონატი ყველაზე უფრო მეტად იყო ასეთი.

— ზოგიერთი კლუბი მიიჩნევს, რომ კორუფციამ იკლო, მაგალითად, „ვიტ ჯორჯია"...

— ალბათ, ბოლნისიც იტყვის, რომ იკლო.

— „დინამოს" პოლიტიკას დავუბრუნდეთ. გარედან ჩანს, რომ კლუბის ბიუჯეტის კორექცია მიმდინარეობს — ფეხბურთელებს ახალ კონტრაქტს სთავაზობთ, ტრანსფერზე აყენებთ — აქცენტს ახალგაზრდა ფეხბურთელებზე აკეთებთ?

— კლუბის ბიუჯეტი იზრდება თუ მცირდება, არავისი საქმე არ არის, ეს კლუბის შიდა სამზარეულოა. რაც შეეხება რამდენიმე ფეხბურთელის ტრანსფერზე დაყენებას, ჩვენ მათ მართლაც შევთავაზეთ ახალი კონტრაქტები, რომლებიც არ შეამცირებდა მათ მთლიან შემოსავალს, თუ ისინი ყველა მატჩში მიიღებდნენ მონაწილეობას. მათ ბევრად არა, მაგრამ უმცირდებოდათ ხელფასი, თუმცა ბევრად ეზრდებოდათ პრემიები. უწინდელზე მეტი შემოსავალიც კი ექნებოდათ, თუ ითამაშებდნენ და მოიგებდნენ. ამით გვინდოდა, მოტივაცია გაგვეზარდა ფეხბურთელებში.

— ბოლო დროს „დინამოს" მწვრთნელების ხშირი ცვლა დასჩემდა. 2004-05 წლების სეზონში სამი მწვრთნელი გამოიცვალა — გია გეგუჩაძე, ხვიჩა ქასრაშვილი და კახა ცხადაძე. 2005-06 წლების სეზონში ორი — ცხადაძე და ანდრეი ჩერნიშოვი, ხოლო წინა სეზონის დასრულების შემდეგ „დინამო" კახა კაჭარავამ ჩაიბარა. მწვრთნელთა ხშირი ცვლა კი, ზოგადად, კარგი არ არის...

— მიკვირს, ასეთი კითხვა რატომ მოდის „დინამოსთან". მწვრთნელის ცვლა იმიტომ ხდება, რომ გუნდის ხელმძღვანელებს შედეგი არ აკმაყოფილებთ. საკითხავი უფრო ისაა, რატომ ხდებოდა ასეთი რამ სხვა გუნდში, თორემ „დინამოში" ეს არ არის საკითხავი — ჩვენთვის მიუღებელი იყო მეოთხე ადგილი პირველი წრის შემდეგ და ამიტომაც შევცვალეთ მწვრთნელი. ასევე არ აკმაყოფილებს „დინამოს" მესამე ადგილი, რის გამოც კვლავ შეიცვალა მწვრთნელი...

— „დინამომ" წინა სეზონის მეორე ეტაპისთვის უცხოელი მწვრთნელი მოიწვია, თუმც ანდრეი ჩერნიშოვი არაა მაღალი რეპუტაციის და დიდად გამოცდილი სპეციალისტი — მიგაჩნიათ, რომ ჩერნიშოვის მოწვევა შეცდომა იყო?

— ვერ ვიტყვი, რომ შეცდომა იყო, ცოტათი მაინც წინ გადავდგით ნაბიჯი, თუნდაც იმით, რომ მეოთხე ადგილიდან მესამეზე ავიწიეთ. ძალიან მაღალი რეპუტაციის მქონე მწვრთნელის საქართველოში ჩამოყვანა ცოტა რთულია, ჩერნიშოვი კი კარგი მწვრთნელია, თუმც რაღაც პრობლემები იყო, რის გამოც ვერ მივაღწიეთ ისეთ მაღალ შედეგს, როგორიც გვსურდა.

— რომელ სტადიონზე ითამაშებს „დინამო" ახალ სეზონში?

— „დინამოსთვის" ყველაზე კარგი ეროვნულ სტადიონზე თამაში იქნება, მაგრამ ჩვენ ჯერ არ ვიცით, რას ფიქრობს ეროვნული სტადიონის ხელმძღვანელობა. შესაძლებლობები სურვილს უნდა ემთხვეოდეს. ძალიან კარგი იქნება, თუ ჩვენი სტადიონების მესვეურები გაითვალისწინებენ ერთ მომენტს — მათ შეიძლება ძვირი უჯდებათ მატჩისთვის სტადიონის ორგანიზება, მაგრამ ასეთ მაგალითს მოვიყვან — „რაზდანის" სტადიონი ერთი მატჩისთვის ქირად 350 დოლარს ითხოვს — ასეთი ხელშეწყობა აღსანიშნავია.

— კორუფციასთან დაკავშირებით კონკრეტული ფაქტები გაქვთ?

— კორუფციაზე მაშინაც ვისაუბრეთ, როცა ერთმანეთს კლუბების წარმომადგენლები შევხვდით და სწორედ იქ ითქვა, რომ მე-17 ეროვნული ჩემპიონატი ყველაზე მეტად იყო კორუმპირებული. იქ ეს უმეტესობამ აღნიშნა. გამოვთქვით სურვილი, რომ FAIR PLAY-ის პრინციპები დავიცვათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ისე არ ხდება, როგორც გვინდა.

— კახა კაჭარავას რა ვადიანი კონტრაქტი აქვს „დინამოსთან"?

— კაჭარავას კონტრაქტი არ აქვს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის დანიშნულია მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად.

— რაზეა დამოკიდებული, თუ რამდენ ხანს იქნება კაჭარავა მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი?

— ვხვდები, რომ გსურთ, რაც შეიძლება, მეტი ინტერესი გამოიჩინოთ და მერე უფრო და უფრო შეგეძლოთ რაღაცის თქმა და გამოქექვა. მაგრამ მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა ნიშნავს იმას, რაც არის გაკეთებული კლუბში, ანუ არის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა. ეს ყველაფერი არის მომავლის საქმე და კლუბი ისე გადაწყვეტს თუ ასე, მისი გადასაწყვეტია.

— და რა იქნება ამ გადაწყვეტილების საფუძველი?

— ვნახოთ...

— ანუ ამ ეტაპზე „დინამო" არ არის მზად თუნდაც ივო შუშაკის რანგის მწვრთნელისთვის?

— თუ საჭირება იქნება, რატომაც არა... მწვრთნელის კანდიდატურებს ახლაც ვეძებთ. რატომ ვეძებთ მწვრთნელს, თუ ის უკვე გვყავს — ხშირად ასეც აღიქვამენ ამ საკითხს. უნდა ვიცოდეთ, ვინ რას აკეთებს, რამდენად შესაძლებელია ასეთი მწვრთნელის მოყვანა — ამ ყველაფრის საქმის კურსში უნდა იყო.

— ითქვა, „დინამოში" შუშაკის დაბრუნებაზეა ლაპარაკი...

— ჩემამდე ასეთი ხმები არ მოსულა.

— გუნდის დაკომპლექტება დასრულებულია? აქცენტს ახალგაზრდებზე, უცხოეთში მოთამაშეებზე თუ ჩვენს ჩემპიონატში გამოცდილებამიღებულ ფეხბურთელებზე აკეთებთ?

— ყველა მიმართულებით ვმუშაობთ, ახალგაზრდების მოძიებაზე კი მუდმივად ვზრუნავთ — დაკომპლექტებაზე მუშაობა ჩემპიონატის დაწყებამდე გაგრძელდება, მანამდე, სანამ ამის საშუალება გვექნება.

— ვინა არის „დინამოში" ახლა სატრანსფეროდ ყველაზე უფრო საინტერესო ფეხბურთელი?

— ასეთები არიან, მაგრამ მათი დასახელება არ ღირს რამდენიმე ფაქტორის გამო. ჯერ ერთი, რამდენიმე მათგანი ახალგაზრდაა და არ გვინდა, იფიქრონ, თითქოს მათ იმისთვის ვზრდით, სადღაც გავასხვისოთ.

— „დინამოს" პრიორიტეტი ამ ეტაპზე უფრო რომელია — იყოს ფეხბურთელების მიმწოდებელი სხვა გუნდებისთვის თუ იბრძოლოს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად?

— მიზანი, რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირზე მოხვედრაა. სხვაა, რამდენად შესაძლებელია ეს. მიზანი უნდა ემთხვეოდეს შესაძლებლობებს და საჭიროა ფეხბურთელთა ის ნაკადიც, რომელიც იმ მომენტისთვის შეძლებს ასეთი მიზნისთვის ბრძოლას. მიმაჩნია, რომ ეს შესაძლებელია, მაგრამ ამას ცოტა მეტი დრო და მეტი ფინანსები უნდა.

— მაინც რა დრო დასჭირდება ამას?

— რა გაინტერესებთ, როცა დასახელებული დრო მოვა და ჩვენ ამას ვერ შევძლებთ, მერე რომ დააყენოთ საკითხი, რატომ ვერ შეძლესო?!

— ეს ჩასაფრება არაა, უბრალოდ, გულშემატკივარს და მთელ ქართულ საფეხბურთო სამყაროს აინტერესებს, როდის იქნება „დინამო" ისეთი გუნდი, რეალურად რომ შეეძლება ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრისთვის ბრძოლა...

— ვახსენე ფინანსები, ფეხბურთელები, მაგრამ ამას საქართველოში შექმნილი საერთო საფეხბურთო მდგომარეობაც უნდა დავამატო. როცა საქართველოში ფეხბურთის დონე აიწევს, მაშინ იქნება ეს შესაძლებელი. მარტო ერთი გუნდი რომ გამოეყოს საერთო ვითარებას და მოხვდეს ჩემპიონთა ლიგაში, ეს შესაძლებელია, მაგრამ ძალიან რთულია.

— „დინამოს" პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილთან თუ გქონდათ ამის შესახებ საუბარი?

— რა თქმა უნდა, ბატონ ბადრისთან გვქონდა საუბარი „დინამოს" მიზნებსა და მომავალზე და, რაც თქვენ გითხარით, ეს ყველაფერი მასთანაც იყო ნათქვამი, როგორ და რანაირადაა შესაძლებელი ამ მიზნების მიღწევა.

— „დინამოს" კონკრეტულ ფეხბურთელებზეც გკითხავთ...

— არა.

— რატომ?

— იმიტომ.

დავით თავართქილაძე

სფფ-ის პრესამსახური

რეკონსტრუქციის მერე „ეროვნულზე“ 55-60 ათასი კაცი დაეტევა

ახალბალახი ახალკაცს ელის

სტადიონზე დროშები და ბაზაზე ფილები

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრსა და ეროვნულ სტადიონზე სარემონტო სამუშაოები გრძელდება.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ტექნიკურ ცენტრში უკვე შეცვლილია წყლის სანიაღვრე სისტემები. ამას გარდა, გაკეთდა შენობის სრული ჰიდროიზოლაცია და გაილესა კედლები. თითქმის დასრულებულია საკანალიზაციო სისტემის განახლება.

ზურაბ ადამია, ტექნიკური ცენტრის დირექტორი: „ცენტრის ტერიტორიაზე უკვე დაისხა 800 კვადრატული მეტრი ბეტონი, თუმცა წინასწარი გათვლებით, კიდევ დარჩენილია 1500 კვადრატული მეტრი, რომელიც ასევე ბეტონით უნდა დაიფაროს. ვამთავრებთ საუნის მონტაჟს, მიმდინარეობს აუზის ფილტრების გაწმენდა. შენობის გარშემო ვაგებთ დეკორატიულ ფილებს. თითქმის მთლიანად შეიცვალა ელექტროკაბელები. ამას გარდა, უკვე შევიძინეთ აპარატურა ტექნიკური ცენტრის გარე განათებისთვის.“

სიახლეებია ეროვნულ სტადიონზეც: გადაწყდა, რომ ინდივიდუალური სკამები ოთხი ფერისა იქნება, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ტრიბუნებზე კი საქართველოს ნაკრების დროშა გამოისახება. სტადიონის ტევაობა, სავარაუდოდ, 55-60 ათასი იქნება.

მოლაპარაკებას მიდის უკრაინულ ფირმა „ტარკეტთან“, რომელიც სარბენ ბილიკებს ამზადებს. უშუალოდ სარბენი ბილიკის დაგებას კი, სავარაუდოდ, ერთ-ერთი ჩეხური ფირმა შეასრულებს. რაც შეეხება მინდვრის საფარს, ამასთან დაკავშირებით ეროვნული სტადიონის ხელმძღვანელობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის პასუხს ელის. სწორედ მასთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყდება, რომელი საფარი დაიგება ეროვნულ სტადიონზე...

მოკლედ, ტექნიკური ცენტრიც და ეროვნული სტადიონიც მოახლოებული ევროშესარჩევის მატჩებისთვის გამალებულ მზადებაში არიან.

კახა შალამბერიძე

სფფ-ის პრესამსახური

სარემონტო სამუშაოები ფედერაციის ტექნიკურ ცენტრშიც არ შეწყვეტილა

თქვენთან მინდა

ფრიდოლინს სიონს უკრაინაში ეტყვიან

საქართველოს ჩემპიონი გახდა თუ არა, ბოლნისის „სიონის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, საევროთასოდ გუნდს ლეგიონერებით გავაძლიერებთო. ქვემოქართლელებმა სიტყვა საქმედ ჯერ ვერ აქციეს, თუმც ყველაფერი აქეთკენ მიდის — შაბათს კამერუნიდან ბოიმო ფრიდოლინი ჩამოვიდა, რომელმაც, დიდი შანსია, „სიონის“ მაისურა მოირგოს. დღე-დღეზე ბოლნისელებს კიდევ ორი კამერუნელი ჩამოუვათ, მანამდე კი ავანჩავანი ფრიდოლინს გამოვკითხეთ...



ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ აღმოჩნდით საქართველოში?

— აფრიკელმა მენეჯერმა, რომელიც ჩემს სატრანსფერო საქმეებს განაგებს, „სიონის“ ვარიანტი შემომთავაზა და რაკი ევროპული გუნდი იყო, მეც სიამოვნებით დავთანხმდი. ჯერჯერობით გასინჯვაზე ვარ და თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, თქვენს ქვეყანაში სათამაშოდ სიამოვნებით დავრჩები.

— თქვენი მოკლე დოსიე როგორია?

— 1982 წელს დავიბადე კამერუნის ქალაქ დუკლაში. ჩემი ქვეყნის გარდა, არსად მითამაშია. კამერუნის სამ გუნდში ვირიცხებოდი — „მაუნთ კამერუნში“, ბეტის „საბლეში“ და დუკლას „ასტრასში“. წინა სეზონში ბრინჯაოს მედლები მოვიგეთ, რაც ჩვენი გაქანების გუნდისთვის კარგი შედეგია. გამოძახებული ვიყავი კამერუნის ახალგაზრდულ ნაკრებში, მაგრამ ძირითადში ვერ მოვხვდი და ოფიციალურ მატჩებში არ მითამაშია.

— რა პოზიციაზე თამაშობთ და რა არის თქვენი ყველაზე დიდი მიღწევა?

— ცენტრალური მცველი ვარ, ყველა გუნდში ამ პოზიციაზე მათამაშებდნენ. წინა სეზონის ბრინჯაოს თუ არ ჩავთვლით, ჩემი ყველაზე დიდი მონაპოვარი კამერუნის თასის ფინალია, როცა „საბლეში“ ვირიცხებოდი. სამწუხაროდ, თასი ვერ მოვიგეთ, თუმცა ფინალში გასვლაც დიდი მიღწევა იყო. ასევე მითამაშია აფრიკის საკლუბო ჩემპიონატში, თუმც მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიმიღწევია.

— „სიონის“ ხელმძღვანელობას თუ შეხვდით?

— უფროსობასთან ჯერ არ მილაპარაკია, თუმც გუნდთან ერთად უკვე ვივარჯიშე. „სიონის“ მწვრთნელებმა სამედიცინო შემოწმება ჩამიტარეს და ჩემი ფიზიკური მონაცემები შეამოწმეს.

— ფიზიკური ტესტები წარმატებით ჩაბარეთ?

— არავითარი პრობლემა არ შემქმნია, თუმც ყველაფერი, ალბათ, მოედანზე გადაწყდება. „სიონის“ უკრაინულ შეკრებაზე გადაწყდება, ამიყვანენ თუ არა გუნდში.

— თქვენ გარდა, „სიონში“ კიდევ ელიან კამერუნელებს, იცნობთ მათ?

— ეიჟე გასტონი ჩემი თანაგუნდელი იყო, ჟარემსაც ვიცნობ. ისინი დღე-დღეზე ჩამოვლენ. მოხარული ვიქნები, თუ მათთან ერთად „სიონში“ დავრჩები, აქაურობა ძალიან მომეწონა.

ირაკლი პერტაია

ბოლნისმა სევასტოპოლით დაიწყო

საქართველოს ჩემპიონ ბოლნისის „სიონს“ ერთი სერიოზული ტრანსფერი ბოლო მომენტში ჩაეშალა — ბოლნისელები საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის, „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტან დავით დიღმელაშვილის გადაბირებასთან ძალინა ახლოს იყვნენ. კლუბები ფინანსურ საკითხებზეც მორიგდნენ, „სიონიც“ შეთანხმდა თავად ფეხბურთელთან და კონტრაქტიც გაამზადეს, მაგრამ...

როგორც შევიტყვეთ, თითქმის გადაწყვეტილი ტრანსფერი ისევ და ისევ ფინანსური გაუგებრობების გამო არ შედგა — ფეხბურთელი და „სიონი“ ვეღარ შეთანხმდნენ. არადა, დიღმელაშვილის გაბოლნისელებას ოდენ კონტრაქტზე ხელმოწერა აკლდა.

ამასობაში „სიონმა“ ყირიმულ შეკრებაზე პირველი მატჩი ითამაშა — უკრაინის მეორე ლიგის სევასტოპოლის „დინამოს“ 4:1 მოუგო, გოლები ბაჯელიძემ, ალავიძემ, ცხადაძემ და მიკუჩაძემ გაიტანეს. გოლის გამტანი ბაჩო ცხადაძე „სიონის“ თავკაც კახა ცხადაძის ვაჟია.

ლუკა თალაკვაძე

უეფამ საქართველო გახლიჩა

პირველ ეტაპზე ამერი განითესა

განთესილები

ბაზელი (შვეიცარია), არტმედია (სლოვაკეთი), იანგ ბოიზი (შვეიცარია), ზაგლებიე (პოლონეთი), ფეჰერვარი (უნგრეთი), უიპეშტი (უნგრეთი), ტრნავა (სლოვაკეთი), ზიმბრუ (მოლდოვა), ნისტრუ (მოლდოვა), **ამერი** (საქართველო)

განუთესავები

ვიტ ჯორჯია (საქართველო), ვადუცი (ლიხტენშტაინი), ბატე (ბელარუსი), დინამო (ბელარუსი), მიკა (სომხეთი), ბანანცი (სომხეთი), ყარაბახი (აზერბაიჯანი), კარვანი (აზერბაიჯანი), კოშტანაი (ყაზახეთი), კაირატი (ყაზახეთი)

როგორც იქნა, უეფამ საბოლოოდ დაადგინა უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე განთესილი და განუთესავი გუნდები.

ხვალ ნიონში კენჭისყრა გაიმართება, რომელიც თბილისური „ამერისა“ და „ვიტ ჯორჯიას“ მეტოქეთა ვინაობას გაარკვევს. განთესილ-განუთესავ კლუბებთან დაკავშირებით ერთგვარი გაურკვევლობა „ფეარ პლეის“ პრინციპით გათამაშებაში დაშვებული სამი გუნდისთვის ადგილის მიჩენას უკავშირდებოდა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ბელგიური „რუზელარე“ სამხრეთ-ხმელთაშუაზღვის ზონის გუნდებთან იყრის კენჭს.

„ჩვენს“, ანუ ცენტრალურ-აღმოსავლეთ ზონაში კი ოცმა გუნდმა მოიყარა თავი, რომელთა შორის ქართულ წყვილს მეათე-მეთერთმეტე კოეფიციენტი აღმოაჩნდა. უეფამ „ამერს“, როგორც ქვეყნის თასის მფლობელს, მეათე ადგილი არგუნა, იმავე კოეფიციენტის მქონე ვერცხლისმედალოსან „ვიტ ჯორჯიას“ — მეთერთმეტე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კენჭისყრისას „ამერი“ განთესილთა შორის იქნება და შედარებით სუსტ მეტოქესთან დაწყვილდება, „ვიტ ჯორჯიას“ კი გაცილებით რთული ამოცანა ექნება გადასაჭრელი. თუმცა სჯობს, თავადვე გადაავლოთ თვალი განთესილ-განუთესავთა ჩამონათვალს, ჩვენ კი იმასღა დავამატებთ, რომ უეფას დებულებით, პირველ ეტაპზე ქართული კლუბები ვერ დაწყვილდებიან.

ამასობაში გაირკვა ჩეხურ შეკრებაზე მყოფი „ამერის“ პირველი სპარინგ-მეტოქე — ჩეხური „ტეპლიცე“ თბილისელებს 24 იანვარს გაეჯიბრება.

გიორგი ნოზაძე

ოქროს ისტორია ერთ დარბაზში

ქართული სპორტის მატიანე ვაჟეში გაცოცხლდა

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პირველ სართულზე ქართული სპორტის დიდების მუზეუმი გაიხსნა. დღეიდან ნებისმიერ მსურველს შეუძლია, ახლოდან ნახოს ქართველი სპორტსმენების მიერ მოპოვებული ჯილდოები. ჭავჭავაძის 40-ში, 200 კვადრატულ მეტრ ფართობში ჩატეული ქართული სპორტის ისტორია ისეთი მდიდარია, საქართველოზე გაცილებით დიდ ქვეყნებს შეშურდებათ.

საზეიმო ლენტი გუშინ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა და სპორტის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა გაჭრეს. პირველი სტუმრები კი, რაღა თქმა უნდა, ქართული სპორტის ისტორიის შემქმნელები იყვნენ. ოლიმპიურმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებმა ღირსშესანიშნავი პრიზები თავად გადასცეს მუზეუმს. პირველ ოლიმპიურ ჩემპიონ დავით ციმაკურიძესაც თავისი ხელით მიუტანია მოპოვებული მედლები, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე. ყველაზე ახალი გამორჩეულად ღირებული ჯილდო კი გიორგი ასანიძის ათენური ოქროა.

მოქმედი და ვეტერანი სპორტსმენების მედლებთან და თასებთან ერთად მრავლადაა უნიკალური სურათები, აფიშები და სპორტული ატრიბუტიკა.

„ქართული სპორტის დიდების მუზეუმის დაარსების იდეა პირველად 1965 წელს გასჩენიათ — თქვა ნამგალაურმა — მას შემდეგ ამ თემამ რამოდენიმეჯერ წამოიწია წინ, მაგრამ მისი განხორციელება აქამდე ვერ მოხერხდა. საქმეს წერტილი საქართველოში „ფოლკსვაგენის“ წარმომადგენლობამ დაუსვა, შეთავაზება სწრაფადვე აიტაცა და ფინანსური საკითხები მალევე მოაგვარა. ამ განძის დიდი ნაწილი „სპორტის სასახლეში“ ინახებოდა. ბევრ ნივთს საიუველირო დამუშავება დასჭირდა. მადლობა ყველას, ვისაც მუზეუმის გახსნაში თუნდაც სულ მცირე წვლილი მიუძღვის. განსაკუთრებული მადლობა კი ამ ისტორიის შემქმნელებს“.

ოთარ გალლაკელიძე

ბაჩარა ფალავანდიშვილის ფოტო

ბაჩარა ფალავანდიშვილის ფოტო

ხელბურთი

ქარდაშული მარცხი

სტუდენტ ხელბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების პროგრამით, საქართველოს ნაკრებმა გუშინ ამხანაგური მატჩი გამართა ჩვენთან სტუმრად მყოფ აზერბაიჯანის გუნდთან.

თამაში გლდანში, ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ცენტრის დარბაზში ჩატარდა. ნაკრების მთავარი მწვრთნელის მერაბ მეტრეველისა და ირაკლი კეკელიძის ბიჭებმა — გუნდის ძირითადი ბირთვის, საქართველოს ჩემპიონ „სტუ-შევარდენის“ ხელბურთელებმა და ევროპელმა ლეგიონერებმა, პირველად ითამაშეს ერთად. შვედეთში მოთამაშე სერგო დათუკაშვილის გარდა, რომელიც ოჯახური მიზეზების გამო მოედანზე არ ყოფილა, მწვრთნელებმა ყველა, ჩვიდმეტივე კანდიდატი გამოსცადეს საქმეში.

შეხვედრა საინტერესოდ და ბოლომდე დაძაბულად მიმდინარეობდა. ტაიმი მასპინძლებმა ერთბურთიანი სხვაობით კი მოიგეს, მაგრამ საბოლოოდ აზერბაიჯანის პირველ ნაკრებთან მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ — 26:27.

დღეს და ხვალ მეტოქეები კიდევ ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს.

გია ახალაძე

ჩოგბურთი

ლაბაძემ ბალახზე ნაბიჯი გადადგა

ოდესღაც ირაკლი ლაბაძეს უიმბლდონის იუნიორთა ტურნირის ფინალში როჯერ ფედერერის წინააღმდეგ უთამაშია. მას შემდეგ ბევრი ჩოგანი დაიმტვრა კორტებზე და ფედერერი სადაც არის, ყველას კარგად მოგვეხსენება, ხოლო ლაბაძე ATP-ი კლასიფიკაციის სადღაც მეორე ასეულშია და დიდი სლემის ტურნირებზე მოხვედრას კვალიფიკაციის გავლით ცდილობს.

ასეა ამჯერადაც — ორშაბათს უიმბლდონი იწყება, თუმცა ჩვენებურისთვის უკვე დაიწყო და წარმატებითაც — საკვალიფიკაციო შეჯიბრის პირველ წრეში ლაბაძემ რეიტინგში მასზე ცხრა საფეხურით დაბლა მყოფ ამერიკელ ჯეფ მორისონს 5:7 6:3 6:3 მოუგო. ირაკლის მეორე მეტოქე 34 წლის დანიელი ვეტერანი კენეტ კარლსენი იქნება, რომელმაც ავსტრალიელი რობერტ სმიტსი 6:4 7:6 დაამარცხა. თუ კარლსენსაც აჯობებს, მაშინ ლაბაძე ამერიკელ კევინ კიმსა და არგენტინელ დიეგო ჰარტფილდს შორის მოგებულს შეხვდება და იქ გაირკვევა, თუ ვინ ითამაშებს უპრესტიჟულესი შეჯიბრის ძირითად ბადეში.

რაგბი

21-წლამდელთა მსოფლიოს თასი. საფრანგეთი

საქართველო 14:46 შოტლანდია

მეოთხე მატჩი, მეოთხე არაფერი

საფრანგეთში, კლერმონში მიმდინარე 21-წლამდელთა მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრებმა მეოთხე მატჩიც წააგო. ჩვენები მე-10 ადგილისათვის რაგბობაში შოტლანდიასთან 14:46 დამარცხდნენ.

ახლა ქართველებს ისღა დარჩენიათ, 25 ივნისს მე-11 ადგილისათვის იტალიას ეომონ. თუ ჩვენები „აძურას“ მოუგებენ, თორმეტგუნდა ელიტარულ მსოფლიოს თასზე ბოლოსწინა ადგილს დაიკავებენ. შეგახსენებთ, რომ ქართველი ახალგაზრდები კლერმონში ბოლო, მე-12 გუნდად იყვნენ განთესილები.

კალათბურთი

ჰერბერტის სინთეზი: ჩვენი ნაკრები და პო ორტეზი

საქართველოს ნაკრების კანადელი თავკაცი გორდონ ჰერბერტი საფრანგეთის „პო ორტეზის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ჰერბერტმა გასული სეზონი ფრანგულსავე „რასინგში“ გაატარა და ეს გუნდი ფინანსური პრობლემების გამო დატოვა. მას პოელებმა ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს და მომავალ ევროლიგაშიც ჰერბერტის იმედზე არიან. გუშინ გორდონ ჰერბერტს შევეხმიანეთ, თუმც ერთობ დაკავებული იყო და საუბარი ხანმოკლე გამოგვივიდა...

— გილოცავთ, ბატონო გორდონ, ალბათ, კმაყოფილი ხართ, რომ „პო ორტეზში“ იმუშავებთ.

— კმაყოფილი რომ არ ვიყო, ამ გუნდს არც ჩავიბარებდი. „პო“ საფრანგეთში ერთ-ერთი საუკეთესოა და წლეულს ევროლიგაშიც ითამაშებს. აქ მუშაობა ჩემთვის დიდი პატივია და მოხარული ვარ, რომ ამ გუნდის ხელმძღვანელობამ ამხელა ნდობა გამომიცხადა.

— სხვა გუნდების ვარიანტებიც გქონდათ?

— როგორ არა. იყო რამდენიმე ფრანგული, რუსული და ამერიკული გუნდების ვარიანტი, მაგრამ „პო ორტეზში“ რომ მოვეწყვე, ამას ნამდვილად არ ვნანობ.

— თუ საიდუმლო არაა, რომელი გუნდები გეპატიჟებოდნენ?

— რუსული „უნიკსი“, ფრანგული „ვილერბანი“ და ნბა-ს „სიეტლ სუპერსონიკსი“. აქამდეც მითქვამს, ამერიკაში წასვლას ევროპაში მუშაობა მირჩევნია-მეთქი და საბოლოოდ ყველაფერი ასე დამთავრდა. „სიეტლში“ რომ წავსულიყავი, ასისტენტი მწვრთნელი ვიქნებოდი და ამას ევროლიგის გუნდის თავკაცობა ვარჩიე.

— ახალ გუნდში მუშაობას როლის შეუდგებით?

— ახლა პოელები შვებულებაში არიან. ახალი სეზონისთვის სამზადისს კი შემოდგომაზე შევუდგებით.

— საქართველოს ნაკრებში მუშაობაში ხელს ხომ არ შეგიშლით „პო ორტეზის“ მწვრთნელობა?

— არ შემიშლის, რადგან პოელებმა, კონტრაქტს რომ მიფორმებდნენ, კარგად იცოდნენ, რომ აგვისტოში არ მეცლებოდა. საქართველოს ნაკრებს ჩემი „პო ორტეზში“ გადასვლით არაფერი მოაკლდება. რაც აქამდე იგეგმებოდა, ყველაფერი ისე იქნება. აგვისტოში მე ქართველებთან მუშაობას შევუდგები და სექტემბრის საკვალიფიკაციო მატჩებშიც ვუხელმძღვანელებ. მხოლოდ ამის შემდეგ მივალ „პო ორტეზში“ და გუნდს ახალი სეზონისთვის მოვამზადებ.

ირაკლი პერტაია

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

The Finals

20 ივნისი. დალასი. „ამერიკან ეალაინზ სენთერი". 20 522 მაყურებელი

დალასი 2:4 მაიამი

სამაიამო

ვაი ვეიდისგან დალასს



AFP დალასიდან

დალასი 92:95 მაიამი

30:23 18:26 20:22 24:24

დალასი: ტერი (16), ჰარისი (6), ჰოვარდი (14 ქულა, 12 მოხსნა), ნოვიცკი (29 ქულა, 15 მოხსნა), დიოპი (2); სტეკჰაუსი (12), დანიელსი (12), დამპიე (1), გრიფინი, ილუნგა-მბენგა

მაიამი: უილიამსი (3), ვეიდი (36 ქულა, 10 მოხსნა), უოლკერი (14 ქულა, 11 მოხსნა), ჰასლემი (17 ქულა, 10 მოხსნა), ონილი (9 ქულა, 12 მოხსნა); მურნინგი (8 ქულა, 5 დაფარება), ჰოუზი (6), პეიტონი (2), შ. ანდერსონი

„მე თქვენ მოგიტანთ ჩემპიონობას! — ბრძანა ჰატ რაილიმ, როდესაც ამ 11 წლის წინ სამხრეთ ფლორიდაში, სულ რამდენიმე წლის წინ დაარსებულ „მაიამი ჰითში" მწვრთნელად და პრეზიდენტად მივიდა.

„მე თქვენ ჩემპიონებად გაგხდით!" — დაიბუხუნა შარშანწინ ერთი ოკეანის სანაპიროდან მეორის პირას გადმოსახლებულმა შაკილ ონილმა.

...და „მაიამი ჰითი" ჩემპიონია, პირველად 18-წლიან არსებობაში, ოღონდ ამას ასოციაციის ისტორიაში ერთ-ერთ უგამოჩენილეს მწვრთნელსა და ერთ-ერთ ყველაზე ზარდამცემ მოთამაშეზე მეტად ერთ 24 წლის, საკალათბურთო თარგით სწორედ რომ ღლაპს უნდა უმადლოდეს. დუეინ ვეიდი მხოლოდ სამი წელია, ნბა-შია, ამხელა და თან თვის ტანზე უფრო დიდრონი ამბიციებით ბავშვობიდანვე გაჯერებული შაკილ ონილი კი მასზე ამბობს — „ის ყველა დროის საუკეთესოა!" მართალია, დევშაკმა ეს დიდი საჩემპიონო ჟრიამულობის ჟამს თქვა, როცა დალასურ ფიცარნაგზე ოდნავ ჩაწყნარდა მაიამელთა ღრიალი და მაინც ძლივს გაადონა ჟურნალისტს. მაგრამ იტყოდა ამას შაკი, ვთქვათ, 3 წლის წინ კობი ბრაიანტზე? შეიძლება, კობიზეც უთქვამს, ზუსტად არ გვახსოვს, შაკს ყოველთვის უყვარდა ლაპარაკი, თან ცხელ გულზე. მან და ბრაიანტმა „ლეიკერსი" სამჯერ გახადეს ჩემპიონი, ფინალური სერიის უძვირფასესი მოთამაშის წოდება კი ყოველთვის ონილს ხვდებოდა. ახლა არავის გაუსაჩივრებია, ეს ჯილდო დუეინ ვეიდს რომ შეხვდა. აბა სხვას ვის უნდა შეხვედროდა? ის 36 ქულას აკეთებს, შაკილ ონილი კი 9-ს. ვეიდი, მგონი, მოხსნებშიც ჯობს ნბა-ს უძლიერეს ცენტრს.

28, 23, 42, 36, 43, 36! — ვერაფერს ვიტყვით, ჯორდანის საკადრისი ციფრებია. ალბათ, ამიტომაც თქვა შაკმა პატარა ვეიდზე, ყველა დროის სუკეთესოაო. ისე, ვეიდის ასაკში ჯორდანი პირველ-მეორე რაუნდიდან ვარდებოდა...

ციფრებს უკან კი ნიჭი და ჟინი ჩანს, რამაც ჰატ რაილის მეხუთე, შაკილ ონილს კი მეოთხე ბეჭედი წამოაცვა თითზე. ამ ბავშვის წყალობით ისეთი დამსახურებული ვეტერანები, როგორებიც არიან გერი პეიტონი და ალონზო მურნინგი ნბა-ს ჩემპიონების რანგში წავლენ კალათბურთიდან. ფიქრებიც დაუმშვიდდებათ და 2-3 ათეული წლის შემდეგ შვილიშვილებს მუხლებზე რომ დაისვამენ, ამაყად მოუყვებიან, ამა და ამ წელს ჩვენ ჩემპიონები გავხდითო. კარგი იქნება, ვეიდსაც თუ გაიხსენებენ. ნბა-ს ისტორიის შემქმნელები, ოლიმპიური ჩემპიონები, დიდების დარბაზის მომავალი წევრები ამ დაუდეგარ და ამავ დროს ზრდილ და წესიერ ყმაწვილს უნდა უმადლოდნენ ცხოვრებაში ყველაზე დიდ პროფესიულ წარმატებას.

ნულარ გავიხსენებთ, დუეინ ვეიდმა რომელ თამაშში რა გმირობა ჩაიდინა. ის ყველგან საუკეთესო იყო, მოგების და, ალბათ, წაგების დროსაც.

დამარცხებულებზე რა მოგახსენოთ. „დალასი" ჩემპიონობის ღირსი იქნებ იყო კიდეც, მაგრამ როცა ფინალში პირველი ორი თამაშის მოგების შემდეგ მესამესაც 13 ქულით იგებ დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე, ჩემპიონობის მოპოვება კი უნდა მოახერხო. მაგრამ ჯერ კიდევ ფინალამდე გადაღლილ ტეხასელებს იღბალზე მეტად ნერვებმა ულალატათ. დირკ ნოვიცკიც ადამიანი ყოფილა. ახლა ეს უკვე ყველამ კარგად იცის.

კოტე ყორღია

ბოლო ოფის ფინალების ყველა MVP



AFP დალასიდან

1969	ჯერი ვესტი (ლეიკერსი)
1970	ვილის რიდი (ნიუ იორკი)
1971	ქარიმ აბდულ-ჯაბარი (მილუოკი)
1972	უილტ ჩემბერლენი(ლეიკერსი)
1973	ვილის რიდი (ნიუ იორკი)
1974	ჯონ ჰავლიჩეკი (ბოსტონი)
1975	რიკ ბერი (გოლდენ სტეიტი)
1976	ჯო ჯო ვაითი (ბოსტონი)
1977	ბილ უოლტონი (პორტლენდი)
1978	ვეს ანსელდი (ვაშინგტონი)
1979	დენის ჯონსონი (სიეტლი)
1980	მეჯიქ ჯონსონი (ლეიკერსი)
1981	სედრიკ მაქსველი (ბოსტონი)
1982	მეჯიქ ჯონსონი (ლეიკერსი)
1983	მოზეს მელოუნი (ფილადელფია)
1984	ლარი ბერდი (ბოსტონი)
1985	ქარიმ აბდულ-ჯაბარი (ლეიკერსი)
1986	ლარი ბერდი (ბოსტონი)
1987	მეჯიქ ჯონსონი (ლეიკერსი)
1988	ჯეიმს უორტი (ლეიკერსი)
1989	ჯო დუმარსი (დეტროიტი)
1990	აიზია ტომასი (დეტროიტი)
1991	მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1992	მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1993	მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1994	ჰაკიმ ოლაჯუონი (ჰიუსტონი)
1995	ჰაკიმ ოლაჯუონი (ჰიუსტონი
1996	მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1997	მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1998	მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1999	ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
2000	შაკილ ონილი (ლეიკერსი)
2001	შაკილ ონილი (ლეიკერსი)
2002	შაკილ ონილი (ლეიკერსი)
2003	ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
2004	ჩონსი ბილაფსი (დეტროიტი)
2005	ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
2006	უეინ ვეიდი (მაიამი)

ყველა ჩემპიონი

1947	ფილადელფია ვორიორზი	1977	პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი
1948	ბალტიმორ ბულიტსი	1978	ვაშინგტონ ბულიტსი
1949	მინეაპოლის ლეიკერსი	1979	სიეტლ სუპერსონიქსი
1950	მინეაპოლის ლეიკერსი	1980	ლოს-ანჯელეს ლეიკერსი
1951	როჩესტერ როიალზი	1981	ბოსტონ სელტიკსი
1952	მინეაპოლის ლეიკერსი	1982	ლოს-ანჯელეს ლეიკერსი
1953	მინეაპოლის ლეიკერსი	1983	ფილადელფია-76
1954	მინეაპოლის ლეიკერსი	1984	ბოსტონ სელტიკსი
1955	სირაკუზ ნეშნელზი	1985	ლოს-ანჯელეს ლეიკერსი
1956	ფილადელფია ვორიორზი	1986	ბოსტონ სელტიკსი
1957	ბოსტონ სელტიკსი	1987	ლოს-ანჯელეს ლეიკერსი
1958	სენტ-ლუის ჰოქსი	1988	ლოს-ანჯელეს ლეიკერსი
1959	ბოსტონ სელტიკსი	1989	დეტროიტ პისტონზი
1960	ბოსტონ სელტიკსი	1990	დეტროიტ პისტონზი
1961	ბოსტონ სელტიკსი	1991	ჩიკაგო ბულზი
1962	ბოსტონ სელტიკსი	1992	ჩიკაგო ბულზი
1963	ბოსტონ სელტიკსი	1993	ჩიკაგო ბულზი
1964	ბოსტონი სელტიკსი	1994	ჰიუსტონ როკიტსი
1965	ბოსტონ სელტიკსი	1995	ჰიუსტონ როკიტსი
1966	ბოსტონ სელტიკსი	1996	ჩიკაგო ბულზი
1967	ფილადელფია-76	1997	ჩიკაგო ბულზი
1968	ბოსტონ სელტიკსი	1998	ჩიკაგო ბულზი
1969	ბოსტონ სელტიკსი	1999	სან-ანტონიო სფურზი
1970	ნიუ იორკ ნიქსი	2000	ლოს-ანჯელეს ლეიკერსი
1971	მილუოკი ბაქსი	2001	ლოს-ანჯელეს ლეიკერსი
1972	ლოს-ანჯელეს ლეიკერსი	2002	ლოს-ანჯელეს ლეიკერსი
1973	ნიუ იორკ ნიქსი	2003	სან-ანტონიო სფურზი
1974	ბოსტონ სელტიკსი	2004	დეტროიტ პისტონზი
1975	გოლდენ სტეიტ ვორიორზი	2005	სან-ანტონიო სფურზი
1976	ბოსტონ სელტიკსი	2006	მაიამი ჰითი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დუალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II პორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge